645
1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

აგვისტო
№ 8 1968 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკვდავი ლენინი





ეროვნული ბიბლიოთეკა



„მშვიდობა ბავშვებს"

ნახატი ი. უთურაშვილისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს ქალი

ივნისი
№ 6 1968 წ.

# ბავშვობის მოგონებანი

ვ. ი. ლენინის ახლო ნათესავებიდან ამჟამად ცოცხალია მისი უმცროსი ძმის დიმიტრის ორი შვილი: ვიქტორი და ოლღა. ვიქტორ დიმიტრის ძე ულიანოვი ინჟინერია, ოლღა დიმიტრის ასული ულიანოვა კი — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი.

ვიქტორი 1924 წელს 7 წლისა იყო და ზოგი რამ ახსოვს დიდი ბელადის, ლენინის შესახებ.

ქვემოთ ვბეჭდავთ ვიქტორის მოგონებას ვ. ი. ლენინზე.



ვ. ი. ლენინი გორკაში თავის ძმისშვილთან ვიქტორ ულიანოვთან ერთად. 1922 წლის ზაფხული.

1921 წლის ზამთარში, მამიდაჩემთან — ანა ილიას ასულ ელიზაროვასთან ერთად სოფლიდან მოსკოვში ჩავედი. ჩვენ მანეჟის ქუჩაზე დავსახლდით. ვლადიმერ ილიას ძე ჩვენთან ხშირად მოდიოდა. მახსოვს მასთან ჩემი პირველი შეხვედრა. იგი მოვიდა უინვიან დღეს. მე ძალიან მორცხვი ვიყავი და. უცნობი ადამიანი რომ დავინახე, დივანის ქვეშ შევძვერი. იქიდან ვერ გამომიყვანეს.

მე ვიცოდი ბევრი სოფლური სიმღერა. ლენინი ამით დაინტერესდა, დიდხანს ვამბობდი უარს დამეკმაყოფილებინა მისი ცნობისმოყვარეობა. საბოლოოდ, დივანის ქვეშიდან არ გამოვსულვარ, ისე ვუმღერე იმდროინდელი შაირების რამდენიმე სტროფი. ჩემს სიმღერაზე ვლადიმერ ილიას ძე გულიანად ხარხარებდა. ამით გავთამამდი. მან მუხლზე დამისვა, მომეფერა და გაგულადებულმა ერთიანად გადმოვულაგე მთელი ჩემი სასიმღერო რეპერტუარი.

მომდევნო, 1922 წლის ზაფხულში, ჩვენ გორკაში ვცხოვრობდით. ვლადიმერ ილიას ძესთან ერთად დავდიოდით პარკში კენკრის საკრეფად. ერთ-ერთი ასეთი სეირნობის დროს მითხრეს, შეგროვილი კენკრა ბიძისათვის მიმერთმია, მე კი ვჭამდი. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ვლადიმერ ილიას ძემ თვითონ მაჩუქა მარწყვის პატარა კონა.

ამავე პერიოდს მიეკუთვნება ფართოდ ცნობილი ფოტოსურათი, რომელზეც გადაღებულია ლენინი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან, ანა ილიას ასულთან, ჩემთან და ჩვენი მოსკოვის სახლის მეეზოვის გოგონასთან ერთად.

ვლადიმერ ილიას ძესთან ჩემი შეხვედრების წლებში ჯერ კიდევ ბიჭუნა ვიყავი, მაგრამ მისი სათუთი ალერსით მოჯადოებულს, სულ მასთან მინდოდა ყოფნა. მაგონდება ზოგიერთი ეპიზოდი იმ შორეული პერიოდიდან, როცა ლენინი, უკვე ავადმყოფი, მუდმივად ცხოვრობდა გორკაში. ერთხელ საღამოს, ვახშმად ვისხედით, მაგიდაზე ხილის წყლით სავსე ბოთლი იდგა. ნებას არ მაძლევდნენ დამელია. ჩემთვის რომ ესიამოვნებია, ლენინმა შეუმჩნევლად მომიწია ბოთლი.

ერთხელ ჩვენ, ბავშვები, პარკის ერთ-ერთ ხეივანში მოვკალათდით და სილისაგან ხომალდებს ვაგებდით. ლენინს მაშინ, 1923 წელს, ხეივნებში პატარა ეტლით ასეირნებდნენ. ჩვენ გვეგონა, რომ გზაზე გავლისას ეტლი ჩვენს ნაგებობებს დაანგრევდა. მაგრამ ასე არ მომხდარა. მაშინ ჩვენ ხომალდები მთელი ხეივნის გასწვრივ ავაგეთ. ამ შემთხვევაში ეტლს აუცილებლად უნდა დაენგრია ისინი. მაგრამ ამჯერადაც ყველაფერი ძველებურად დარჩა. მხოლოდ შემდეგ შევიტყვეთ სხვებისაგან, რომ ვლადიმერ ილიას ძემ, იცოდა, რომ ეს გვეწყინებოდა და ისე მოაწყო საქმე, რომ გავლილ ეტლს ხელი არ შეეშალა ჩვენი თამაშისათვის.

იმ დღეებში მიყვარდა ლენინის ოთახში შესვლა. ბავშვის გუმანით ვხვდებოდი, რომ ჩემი სტუმრობა მასაც სიამოვნებდა. ხდებოდა ასე, შევიდოდი მის ოთახში, იგი იჯდა ფანჯარასთან და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის დახმარებით სწავლობდა მარცხენა ხელით წერას. ვლადიმერ ილიას ძე შეწყვეტდა მეცადინეობას და თბილად მომღიმარე დიდხანს მიყურებდა.

1923 წლის დეკემბერში გორკაში, ბავშვებისათვის ნაძვის ხე მოეწყო. ჩვენს გარდა, რომლებიც ვლადიმერ ილიას ძესთან ვცხოვრობდით, მოწვეული იქვნენ სოფელ გორკას გლეხების, საბჭოთა მეურნეობის მუშების და დასასვენებელი სახლის მუშაკების შვილები. იყო ხალხმრავლობა, ხმაური, მხიარულება. ეტყობოდა, ლენინს სიამოვნებდა ჩვენი იქ ყოფნა. ლენინი მთელი საღამო ჩვენთან იყო. საჩუქრების დარიგებასაც დაესწრო. არასოდეს დამავიწყდება ილიჩი, თვალმოუშორებლად რომ უმზერდა აჟრიამულებულ ბავშვებს, რომლებიც მას ასე უყვარდა და რომელთათვისაც ასე ბევრი გააკეთა... ეს იყო ჩემი უკანასკნელი შეხვედრა ილიჩთან.

ვიქტორ ულიანოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა





თქვენ ხედავთ ამ რიგს!

ასეა იმ დღიდან, რაც ამ მავზოლეუმში განისვენებს დიდი ლენინი.

ადამიანთა დაფიქრებული სახეები...

მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მოსულან აქ ისინი. დგანან საათობით, ხანდახან მთელი დღეობითაც, რომ თვალი შეავლონ ძვირფას სახეს, კიდევ ერთხელ განიცადონ სიდიადე უკვდავებისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა პატრიოტიზმი

საბჭოთა პატრიოტიზმი უმაღლესი ტიპის პატრიოტიზმია. ეს არის ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის და ერთგულების გრძნობა სოციალისტური სამშობლოსადმი, გრძნობა თავდადებულად იბრძოდე შენი ხალხის ეკონომიკის, ენის, კულტურის, ეროვნული პროგრესული ტრადიციების განვითარება-გაფურჩქვნისათვის, პატივსცემდე ყველა სხვა ხალხს. საბჭოთა პატრიოტიზმი ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის პირდაპირ საწინააღმდეგო ცნებაა, საბჭოთა პატრიოტიზმი ინტერნაციონალური და ეროვნული ინტერესების ერთიანობაა.

ბურჟუაზია ხშირად მიმართავს პატრიოტიზმის, სამშობლოს დაცვის ლოზუნგს, მაგრამ ეს მას სჭირდება თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის. ბურჟუაზიის ბატონობის დროს პატრიოტიზმი თვალთმაქცური ხასიათისაა, ის მშრომელთა დამონებისა და დაბეჩავების იარაღია.

მაქსიმ გორკი წინასწარმეტყველებდა:

„ვაცი დადგება დრო, როცა ადამიანები ერთიმეორით დატკბებიან, როცა ყოველი კაცი მეორის წინაშე ისეთი იქნება, როგორც ვარსკვლავი! დედამიწაზე ივლიან თავისუფალი ადამიანები!"

დიახ, დღეს ჩვენს მიწაზე მოაბიჯებს ადამიანი თავისუფალი, ლაღი და ბედნიერი. მან იცის, რომ ხვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესი იქნება, მის მარჯვენას პატივს სცემენ. ის ხომ ახალი სამყაროს შემქმნელი და მშენებელია. საბჭოთა ადამიანს დიდი საკაცობრიო მიზანი ასულდგმულებს — ააგოს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ჰუმანური, სამართლიანი და კეთილშობილური საზოგადოება — კომუნიზმი.

უსაზღვროდ უყვარს საბჭოთა ადამიანს თავისი მიწა-წყალი, მრავალ ჭირ-ვარამგამოვლილი თავისი სამშობლო, პატივს სცემს მის წარსულს და მისი აწმყოსა და მომავლის ფიქრში ათენებს.

ვინ დათვლის, რამდენი ამაღელვებელი, მამულის სადიდებელი ფურცელია ჩაწერილი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა ისტორიაში.

სამშობლო ისეთივე წმინდა და ახლობელია ადამიანისათვის, როგორც მშობელი დედა. შემთხვევითი არ არის, რომ ხალხმა სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა დედისადმი უფაქიზეს გრძნობას დაუკავშირა. დედასამშობლოსათვის ზრუნვა, მისთვის წვა ისტორიული განვითარების ყოველ საფეხურზე ადამიანის სისხლსა და ხორცში იყო გამჯდარი და იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. აი, როგორ გამოხატავდა სამშობლოს სიყვარულის გრძნობას ქართველი ერის სასიქადულო მგოსანი აკაკი წერეთელი:

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა
და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე
არ შემიძლია მეც განა?"

კაცობრიობის განვითარების ყოველ ეტაპზე პატრიოტიზმი უდიდესი მამოძრავებელი ძალა იყო. მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო მშრომელთა მასებში ნამდვილი პატრიოტიზმის გრძნობის გაღვივება. სწორედ პროგრესულ ძალთა ბრძოლის ამ პროცესმა დაიჩქარა რუსეთის იმპერიის მრავალეროვან ხალხთა შემჭიდროება ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. და აი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩამოყალიბდა ახალი, უმაღლესი ტიპის პატრიოტიზმი, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური პატრიოტიზმი ეწოდება.

საბჭოთა ადამიანების უდიდესი პატრიოტიზმი გამოვლინდა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე, როცა ისინი აღსდგნენ მსოფლიო იმპერიალიზმის გაერთიანებული ძალებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის შემოტევისაგან ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად.

სამშობლოსათვის თავგანწირვისა და სიმამაცის უკვდავ მაგალითად ცოცხლობენ და მუდამ იცოცხლებენ საბჭოთა ხალხის ხსოვნაში ლეგენდად ქცეული სამოქალაქო ომის გმირები: ბუდიონი და ვოროშილოვი, ჩაპაევი და კოტოვსკი, შჩორსი და პარხომენკო, კიკვიძე და კალანდარიშვილი.

არ არსებობს საბჭოთა ადამიანისათვის იმაზე მეტი ღირსება, ვიდრე იყოს საბჭოთა მოქალაქე. უდიდესი სიამაყის გრძნობამ წარმოათქმევინა ვ. მაიაკოვსკის შემდეგი სიტყვები:

„წაიკითხეთ
და შურით აღივსეთ,
საბჭოთა ქვეყნის
ვარ მოქალაქე."

საზოგადოებრივი ინტერესებისათვის დაუცხრომელი ზრუნვა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების კანონი გახდა. ეს მკაფიოდ ვლინდება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყოველდღიურ შემოქმედებითს შრომაში, მათს პატრიოტულ და ინტერნაციონალურ სულისკვეთებაში.

ბრწყინვალედ შეასრულა თავისი დიდი მიზანი კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულმა საბჭოთა ხალხმა — ისტორიულად მოკლე დროში თავისი სამშობლო მსოფლიოში უძლიერეს ქვეყნად გადააქცია. ამ მიზანს ემსახურებოდა ხუთწლედებში წარმოქმნილი სოციალისტური შეჯიბრების ფორმები — შაბათობანი თუ ათასიანელთა წამოწყებანი, დამკვრელობა თუ სტახანოვური მოძრაობა.

ასე თანდათან ეყრებოდა საფუძველი საბჭოთა პატრიოტიზმს — სოციალისტური საზოგადოების მძლავრ მამოძრავებელ ძალას, სამშობლოს უსაზღვრო ერთგულებასა და სიყვარულს.

საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცოცხალი მაგალითებითაა აღსავსე დიდი სამამულო ომის ისტორია. სამკვდრო-სასიცოცხლო ომში, რომელიც თავს მოგვახვია გერმანიის ფაშიზმმა, საბჭოთა ხალხი, ქალი თუ კაცი აღსდგა სოციალისტური მონაპოვრის დასაცავად. საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ერთმანეთის მხარდამხარ იდგნენ ყველა ხალხთა შვილები და საარაკო გმირობითა და ვაჟკაცობით ანცვიფრებდნენ მსოფლიოს. ვინ არ ალუფრთოვანებია კოჟედუბისა და პოკრიშკინის, მატროსოვისა და გასტელოს, ბენდელიანისა და გამცემლიძის უმაგალითო გმირობასა და მამაცობას.

ვაჟკაცებთან ერთად მტერზე გამარჯვებას ჰჭედნენ და მამაცობისა და თავგანწირვის ნიმუშებს იძლეოდნენ საბჭოთა ქალებიც. საყოველთაოდ ცნობილი გახდა სამამულო ომის მონაწილე ქართველი ქალების: ზოია რუხაძის, დარია ცინცაძის, თინა იოსებიძის, თამარ დათუაშვილის, კლარა ხოჭოლავას, მარო ხვედელიძის, გალინა ჯაშისა და მრავალ სხვათა სახელები.

სიმფეროპოლის კომკავშირელთა ფარული ორგანიზაციის შტაბის წევრმა ზოია რუხაძემ, რომელიც გესტაპოს აგენტებმა შეიპყრეს, არაადამიანური წამების მიუხედავად, არ გასცა საიდუმლოებანი და გმირულად დაიღუპა.

ექიმმა ქალმა დარია ცინცაძემ ლენინგრადის ფრონტზე მტრის ცეცხლის ქვეშ 300 მებრძოლის სიცოცხლე იხსნა.

გამბედაობისა და თავგანწირვის მრავალი მაგალითი გვიჩვენა სტალინგრადის დაცვის ბრძოლებში ექიმმა კლარა ხოჭოლავამ.

ვინ ჩამოთვლის იმ საგმირო საქმეებს, რომლებიც ჩაიდინეს საძულველი მტრის გასანადგურებლად პატრიოტმა ქალებმა, რომელთა შორის იყვნენ ექიმებიც და მზვერავებიც, მფრინავებიც და მეკავშირეებიც, მეზენიტეებიც და სნაიპერებიც.

მტერზე გამარჯვებას ჰჭედნენ და უსაზღვრო პატრიოტიზმს ავლენდნენ საბჭოთა ადამიანები არა მარტო სამამულო ომის ფრონტებზე, არამედ ზურგშიც. ფრონტზე წასული მამაკაცები ფაბრიკებსა და ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე წარმატებით შეცვალეს ქალებმა. ომების ისტორიამ არ იცის ზურგში გაშლილი შემოქმედებითი მუშაობის ისეთი გაქანება, პატრიოტიზმის ისეთი გამოვლინება, როგორიც საბჭოთა ადამიანებმა გამოიჩინეს სამამულო ომის წლებში.

საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი ძალა გამოვლინდა გერმანელი ფაშისტების ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების აღდგენისას და სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ამოცანებმა წარმოშვა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმა — მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის. ეს მოძრაობა გადაიქცა უდიდეს მორალურ და მატერიალურ ძალად, გახდა მასობრივი გმირობის, ახალი ადამიანის აღზრდის სკოლად. ამას მარტო ქართველი ნოვატორებისა და ინიციატორების პირადი მაგალითებიც ადასტურებს. პარტიის იდეების ერთგულება, საერთო საქმის სიყვარული, კომუნისტური ცხოვრებისათვის ბრძოლა — აი მათი შრომისა და ცხოვრების მიზანი.

საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდა ორგანულადაა დაკავშირებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მშრომელთა სოლიდარობისა და მეგობრობის სულისკვეთებით მათს აღზრდასთან.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ჯერ კიდევ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" მოგვცეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მძლავრი იდეა. ამ იდეის ღრმა შინაარსია გადმოცემული ლოზუნგში: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

ეს ლოზუნგი მოწოდებაა ყველა ქვეყნის პროლეტარიატისადმი — შეერთდნენ ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, მის დასამხობად და იმ ისტორიული მისიის შესასრულებლად, რომელიც ისტორიამ დააკისრა პროლეტარიატს, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების მესაფლავეს და ახალი სოციალისტური საზოგადოების შემოქმედს.

პროლეტარულ ინტერნაციონალიზმში შერწყმულია მუშათა კლასის სიყვარული თავისი ერისადმი, პატივისცემა სხვა ერებისადმი, მხარისდაჭერა სხვა ქვეყნების მუშათა კლასისათვის მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

როცა რუსეთის პროლეტარიატმა პირველად გაარღვია მსოფლიო იმპერიალიზმის სისტემის ჯაჭვი და დედამიწის ერთ მეექვსედზე დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, ამით მან გადაჭრა ეროვნული განთავისუფლების, კაპიტალისტური მონობისაგან რუსეთის ხალხების ხსნის ამოცანა. დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა მსოფლიო იმპერიალიზმის სისტემის დასუსტებას, ახალი პერსპექტივები გადაუშალა სხვა ქვეყნების მუშათა კლასებს განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების საქმეში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ინტერნაციონალური ხასიათი გამოვლინდა მისი გამარჯვების პირველ დღეებშივე, როდესაც ახლადშობილი საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად იარაღით ხელში აღსდგნენ იმ დროისათვის რუსეთის ტერიტორიაზე მყოფი ევროპისა და აზიის ქვეყნების მშრომელები. ისინი წითელი არმიის მხარდამხარ იბრძოდნენ, როგორც მოხალისეები. ამ ბრძოლებში ინტერნაციონალისტთა რიგებში იდგნენ სხვადასხვა ქვეყნის შვილები: ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, ჩეხები, პოლონელები, ჩინელები, იუგოსლაველები, კორეელები, გერმანელები, რუმინელები, დიდების შარავანდედით არის მოსილი ინტერვენტებთან ბრძოლაში ფრანგი ქალიშვილის ჟანა ლაბურგის გმირობა.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად ევროპისა და აზიის მთელმა რიგმა ქვეყნებმა სოციალიზმის მშენებლობის გზა აირჩიეს. მათ შორის დამყარებული ახალი ტიპის ეკონომიური და პოლიტიკური კავშირები ეროვნული და ინტერნაციონალური ერთიანობის გამოვლინებაა. სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებს შორის ერთიანობა მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების საწინდარია. ამ ერთიანობისათვის ბრძოლა კი უდიდესი მნიშვნელობისა და პირველხარისხოვანი საქმეა.

ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი ვიეტნამელი ხალხისათვის საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური დახმარება და მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ინტერნაციონალური და პატრიოტული გრძნობების მკაფიო გამოხატულებაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ჩაწერილია: „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია დაეხმაროს ხალხებს, რომლებიც დაადგნენ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და განმტკიცების გზას, ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან კოლონიური სისტემის სრული მოსპობისათვის."

მსოფლიო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის არნახული გაქანება ეხმაურება კაპიტალიზმისაგან ჩაგრული კოლონიური ხალხების განთავისუფლებისათვის ბრძოლას და ერთიანი ბრძოლის ინტერნაციონალურ ნაკადად იქცევა. ყოველივე ეს კი ასუსტებს იმპერიალიზმის ერთიან ფრონტს და ხელს უწყობს მშრომელთა განთავისუფლებას, კოლონიური ხალხების ეროვნულ დამოუკიდებლობას.

ისტორიულად გამართლებულ ამ ბრძოლის პროცესში კაპიტალისტური ქვეყნები გრძნობენ, რომ დადგა მათი ყოფნა-არყოფნის ჟამი. ჩვენი ქვეყნის წინსვლით, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გავლენით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებით გაფთრებული იმპერიალისტები ცდილობენ უკუღმა მოაბრუნონ ისტორიის ჩარხი, არ ზოგავენ დროსა და თანხებს ანტიკომუნისტური პროპაგანდის გაშლა-გაფართოებისათვის. მათი პროპაგანდის მიზანია ძირი გამოუთხაროს სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკას და პოლიტიკას, მოახდინოს მათი დისკრედიტაცია, შეარყიოს კომუნისტური რწმენა და შეასუსტოს კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება.

ამიტომ იყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობას, პარტიული და საბჭოთა კადრების მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შეიარაღებას.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, საბჭოთა პატრიოტიზმის და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილ საბჭოთა ადამიანებს სწამთ კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სისწორე და დარწმუნებული არიან მის უძლეველობაში.

**ნინო ჩირაძე,**
**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.**



# დიდი პოეტის იუბილესათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს, სექტემბერში,ქართველი ხალხი დიდი ზეიმით გადაიხდის ჩვენი ერის სამაყო შვილის, დიდი ქართველი პოეტის — ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავს. ეს იქნება ჩვენი კულტურისა და ჩვენი პოეზიის ზეიმი, ეს იქნება დღესასწაული ყოველივე იმ საუკეთესოსი, რაც ჩვენმა ბრწყინვალე წინამორბედმა შექმნა და დატოვა ჩვენდა სამაყოდ, სასახელოდ, ეს იქნება კიდევ ერთი ახალი აღორძინება იმ ფესვებისა, რომლის პოეტური საწყისი შორეულ საუკუნეებში მიდის, ეს იქნება დღეობა მარადახალგაზრდა გენიის — ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომლის შემოქმედებაც ქართველ კაცს ამდენი ხნის მანძილზე აკეთილშობილებს, ამაღლებს და პოეტურ უკვდავებას აზიარებს. სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენმა ქვეყანამ ზეიმით აღნიშნა სულმნათი შოთა რუსთაველის იუბილე. ბარათაშვილის იუბილეც არანაკლები მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. რუსთაველი და ბარათაშვილი! აი, სახელები, რომლებიც საუკუნეებს გადაწვდებიან, თაობებს აღზრდიან, დააკაცებენ და გულის თრთოლვით ათქმევინებენ: ვიყავით, ვართ და ვიქნებითო! ამიტომაა, რომ დიდი გაცხოველებით მიმდინარეობს სამზადისი ამ იუბილეს ღირსეულად აღნიშვნისათვის. ეს სამზადისი ცილდება ჩვენი რესპუბლიკის, მთელი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს — მას საერთაშორისო მნიშვნელობა მიენიჭა. რადგან ყველა ერისათვის თანაბრად გასაგები, ამაღლებული და სათაყვანოა ბარათაშვილის ზოგადსაკაცობრიო, მაღალჰუმანური იდეებით აღსავსე შემოქმედება.

როგორც ცნობილია, ივნისში შედგა ბარათაშვილის საიუბილეო რესპუბლიკური კომიტეტის სხდომა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ დ. სტურუას თავმჯდომარეობით. ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტი ესაუბრა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს — პოეტ გრიგოლ აბაშიძეს და სთხოვა მოეთხრო იმ სამზადისისა და გეგმების შესახებ, რაც საიუბილეო კომიტეტმა დასახა დიდი პოეტის საიუბილეო დღეებისათვის. აი, რა აცნობა ჩვენს მკითხველებს გრიგოლ აბაშიძემ:

— ჩვენს პარალელურად მოსკოვში შეიქმნა საკავშირო საიუბილეო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა ცნობილი რუსი პოეტი, ქართველი ხალხის დიდი მეგობარი ნიკოლოზ ტიხონოვი. ამ კომიტეტმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებები, რათა საერთაშორისო მასშტაბით უზრუნველყოს ქართველი პოეტის იუბილის ჩატარება. კერძოდ, მშვიდობის მსოფლიო საბჭომ თავის კალენდარში შეიტანა ეს დღესასწაული. ასევე, იუნესკოს ხაზითაც ჩატარდება სათანადო ღონისძიებები.

ამ შემოდგომას, თბილისში შედგება საქართველოს მწერალთა კავშირისა და სსრკ მწერალთა კავშირის გაერთიანებული საიუბილეო პლენუმი, პლენუმში მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა დელეგაციები და, ამას გარდა, უცხოეთიდან მოწვეული სტუმრები.

ჩვენს გამომცემლობებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს, რათა მკითხველებს დროზე მივაწოდოთ ბარათაშვილის საიუბილეო გამოცემები: გამოდის ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემა. ვფიქრობთ, ქართველ მკითხველს მოეწონება ბარათაშვილის ლექსთა ორიგინალური — ჯიბის ფორმატის გამოცემა. წარმოებაში ჩაშვებულია ბარათაშვილის ავტოგრაფული გამოცემა. საბედნიეროდ, ჩვენ შემორჩენილი გვაქვს დიდი პოეტის ხელნაწერები. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გამოცემა პირველია, და ალბათ დიდ სიხარულს მოჰგვრის ჩვენს მკითხველებს. გამომცემლობა „მერანი“ ამზადებს ბარათაშვილის პასტერნაკისეულ თარგმანთა წიგნს. საიუბილეო დღეებში ვიხილავთ აგრეთვე ილუსტრირებულ გამოცემას, სადაც უხვად იქნება წარმოდგენილი ფოტოები, ილუსტრაციები, ჩანახატები...

უცხოელ მკითხველს რაც შეიძლება ფართოდ უნდა წარვუდგინოთ და გავაცნოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება. ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩატარდა: ფრანგმა პოეტებმა უკვე თარგმნეს ბარათაშვილის ლექსები, პარიზის კომუნისტური „გაერთიანებული გამომცემლობა“ საიუბილეოდ მიაწოდებს მას ფრანგ მკითხველებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩვენ მოვიწვიეთ პოეტი რაინერ კირში, რომელიც უკვე ამთავრებს ბარათაშვილის ლექსებისა და პოემის თარგმანს. კირში გაეცნო საქართველოს, მისი მატერიალური კულტურის ძეგლებს, მის ისტორიას, და ქართველი გერმანისტების დახმარებით, მათი განუწყვეტელი კონსულტაციისა და მზრუნველობის შედეგად, მალე გერმანულ ენაზე აჟღერდება ბარათაშვილის სტრიქონები. უნდა აღინიშნოს, რომ რაინერ კირში ითვლება ესენინის, ახმატოვასა და მანდელშტამის შემოქმედების საუკეთესო მთარგმნელად. ინგლისში ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე უკვე მუშაობს ცნობილი მთარგმნელი, პოეტი ჰოლანდი; თბილისში მცხოვრებმა ირანელმა პოეტმა მორთაზა ფატემიმ სპარსულად თარგმნა ბარათაშვილის ლექსები.

ყველა ეს თარგმანი და აგრეთვე რამდენიმე წლის წინ ვიქტორ კერნბახის მიერ რუმინულ ენაზე თარგმნილი ბარათაშვილის ლექსები საიუბილეოდ გაამზადა გამომცემლობა „განათლებამ“.

საკავშირო საიუბილეო კომიტეტმა გამოაცხადა დახურული კონკურსი ბარათაშვილის ბრწყინვალე ლექსის „მერანის“ საუკეთესო თარგმანზე. რახან კონკურსზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე აღვნიშნავთ, რომ ცხადდება კონკურსი ბარათაშვილის ძეგლის საუკეთესო პროექტზე. ეწყობა ბარათაშვილისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა მხატვართა გალერეაში. აღიძრა შუამდგომლობა, რომ ერთ-ერთ საბჭოთა თბომავალს ეწოდოს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი.

როგორც აღვნიშნეთ, მოძმე რესპუბლიკების საზოგადოებრიობა გულმხურვალედ ეხმაურება დიდი ქართველი პოეტის იუბილეს. ყველგან ფართოდ აღინიშნება ეს თარიღი. ჩატარდება საღამოები, საზეიმო სხდომები. კიროვაბადში (ყოფილი განჯა), სადაც თავისი სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ჩვენმა პოეტმა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ეწყობა ბარათაშვილის მუზეუმი.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ ბარათაშვილის სახელი და მისი მემკვიდრეობა თანაბრად ძვირფასია ყველა ერის შვილებისათვის, რომელთა წარმომადგენლები დაესწრებიან საზეიმო სხდომას და დიდ საიუბილეო საღამოს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მას მშრომელი ცხოვრება ჰქონდა

**საკოლმეურნეო ცხოვრების სათავეებთან**



საკოლმეურნეო მოძრაობის გარიჟრაჟზე საქართველოში ბევრი ქალი დაწინაურდა. ერთ-ერთი მათგანი ალექსანდრა (საშა) ესტატეს ასული მცხვეთაძე გახლავთ.

საშა ესტატეს ასული ტაგანაშვილი-მცხვეთაძე დაიბადა 1894 წელს ყოფილ შორაპნის მაზრის სოფელ წიფაში, რკინიგზელი მუშის ოჯახში. დაწყებითი განათლება საშამ ხაშურის რკინიგზის სკოლაში მიიღო და სწავლა განაგრძო ხაშურის ქალთა გიმნაზიაში.

1916 წელს საშა ტაგანაშვილმა წარმატებით დაამთავრა ხაშურის ქალთა გიმნაზია. მატერიალურმა სიდუხჭირემ ადრევე აგრძნობინა ცხოვრების სიმწარე. მან გულმხურვალედ შეიყვარა მშრომელი ხალხი და მიზნად დაისახა მთელი ცხოვრება ამ ხალხის სამსახურისათვის შეეწირა.

ხაშურის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ საშა შედის რიაზანის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში. აქ იგი უკავშირდება რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდებს და იწყებს მოსწავლეებში მოწინავე იდეების პროპაგანდას. მალე რიაზანის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში დაიწყო სტუდენტთა მღელვარება, რომელშიც საშა ტაგანაშვილი აქტიურად მონაწილეობს. საშას დიდი ოცნება — მიეღო სპეციალური განათლება — განუხორციელებელი დარჩა. სხვა რევოლუციონერ სტუდენტებთან ერთად იგი გარიცხული იქნა რიაზანის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლიდან.

1918 წელს საშა ტაგანაშვილი გორის სამასწავლებლო კურსებზე მოეწყო, მისი დამთავრების შემდეგ მიიღო მასწავლებლის დიპლომი და იმავე წელსვე დაინიშნა გორის მაზრის სოფელ სამთავისის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად.

სამთავისელებმა გულთბილად მიიღეს ახალგაზრდა მასწავლებელი. უბრალოებით, თავმდაბლობით და შრომისმოყვარეობით მან სულ მალე მოიხვეჭა როგორც მოსწავლეების, ისე მათი მშობლების სიყვარული და პატივისცემა.

აქ საშამ ნახა თავისი გულისა და აზრების მოზიარე, სამთავისის მკვიდრი, უაღრესად დიდბუნოვანი და პატიოსნებით სავსე ადამიანი ვანო მცხვეთაძე. მათ იქორწინეს და ურთიერთსიყვარული და მეგობრობა ამ პატარა სოფლის კეთილდღეობისათვის ზრუნვას დაუკავშირეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საშას წინაშე ფართო სამოქმედო ასპარეზი გადაიშალა. 1924 წლიდან სამთავისში ჩამოყალიბება იწყო სასოფლო-სამეურნეო კომუნამ. საშა-მასწავლებელი გახდა სამთავისის კომუნის სული და გული, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კომუნის იდეური ხელმძღვანელი. ხშირად მაგონდება კომუნის ყოფილი თავმჯდომარის გიორგი უზნაძის სიტყვები:

„როცა კომუნას ვაყალიბებდით, საშა მაშინ ჯერ კიდევ პარტიის წევრი არ იყო, მაგრამ იგი ჩვენი ორგანიზაციის მარჯვენა ხელი გახლდათ. უიმისოდ ჩვენ ერთ ნაბიჯსაც არა ვდგამდით. მისი ცოდნა და განათლება გვეხმარებოდა ჩვენ, უსწავლელ გლეხებს, რთული საკითხების გაგებაში. ჩვენ. მე და საშამ, ლიზა ბაბოს თანდასწრებით (ლიზა ბაბო საშას დედამთილი იყო) დაძმობა შევფიცეთ ერთმანეთს, სიტყვა დავდეთ, რომ არასოდეს არ ვუღალატებდით დიდი პარტიის საქმეს და საბოლოო გამარჯვებამდე მივიყვანდით ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელებას, მთელი გლეხობის კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანების საქმეს. მე და საშას ამ ფიცისათვის არასოდეს გვიღალატია.“

საშამ თავის გარშემო შემოიკრიბა მიხა თექთუმანიძე, სანდრო რუსიტაშვილი, გულა ილურიძე, სანდრო გოგიჩაშვილი, ვასო ილურიძე, მიშა უზნაძე და სხვა გლეხები, რომელთაც სწყუროდათ პოლიტიკური ცოდნის მიღება. საშა მათთან ატარებდა მეცადინეობას, ეწეოდა ამ უსწავლელი გლეხების პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, პრაქტიკული და თეორიული საკითხების ახსნა-განმარტებას. „ერთ საღამოს, — იგონებდა საშა მცხვეთაძე, — ჩვენ ვიხილავდით პარტიის მერვე ყრილობის მიერ მიღებული პროგრამის იმ ნაწილს, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხს ეხებოდა. მე რომ მასალის ახსნა დავამთავრე, ამხანაგებმა დაიწყეს მსჯელობა ვ. ი. ლენინის წინადადებით ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. ისინი აღფრთოვანებული იყვნენ იმით, რომ ვ. ი. ლენინი მოითხოვდა მხარდაჭერას სასოფლო-სამეურნეო კომუნებისათვის, როგორც მიწათმოქმედთა ნამდვილად ნებაყოფლობითი კავშირისათვის,

მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის საწარმოებლად... გიორგი უზნაძე გატაცებული იყო კომუნის შექმნის იდეით და ახლა ხომ მთლად ფრთები შეესხა. იმავე საღამოს დაადგინეს — მოეწვიათ საერთო სასოფლო კრება და კომუნის შექმნის საკითხი გადაეწყვიტათ. ასეც მოიქცნენ და სულ მალე ჩვენი კომუნის არსებობა ძალაში შევიდა".

ადვილი არ იყო უსწავლელი გლეხის ბუნების, მისი კერძო მესაკუთრული ფსიქოლოგიის გარდაქმნა. ჯერ მარტო საკუთარი ოჯახის წევრების დარწმუნება კოლექტიური ცხოვრების უპირატესობაში რამდენ შრომასა და ენერგიას მოითხოვდა, მაგრამ საშას დამაჯერებელმა აგიტაციამ ძველი ტრადიციების მიმდევარი მცხვეთაძეები ისე მალე შემოაბრუნა ახალი ცხოვრებისაკენ, რომ პირველი განცხადება კომუნაში შესვლაზე საშას უფროსმა მაზლმა — ილია მცხვეთაძემ შეიტანა და თან მთელი ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონებაც მიაყოლა. მას ლიზა-ბაბომ მიბაძა. ასე დაიწყო სოფელ სამთავისის გლეხობის ცხოვრებაში ახალი ხანა, ხანა საკოლმეურნეო ცხოვრებისა.

საშა მცხვეთაძე მთელი სერიოზულობით ეკიდებოდა ამ დიდ საქმეს, ყურადღებითა და ფხიზლად ადევნებდა თვალს კომუნის წევრთა ცხოვრებას. ისე როგორც ყოველ ახალწამოწყებულ საქმეს, სამთავისის კომუნასაც ჰქონდა თავისებური შეცდომები. ზოგ შეცდომას თვითონაც ვერა გრძნობდნენ. ზოგს კი ხვდებოდნენ და ცდილობდნენ მის გამოსწორებას. შეცდომების გამოსწორებისათვის თვითონ საშა პირველთაგანი იბრძოდა, იბრძოდა გაბედულად. მას არ აშინებდა წინააღმდეგობები, დაბრკოლებები, არ იცოდა უიმედობა, ჰქონდა მომავლის დიდი რწმენა და მოსაზრებულობის შესანიშნავი უნარი. მას ჰქონდა მტკიცე ნებისყოფა და ამიტომაც გაბედულად და უშიშრად ჩაება ახალი ცხოვრების ფერხულში.

დილით, გარიჟრაჟზე, როდესაც მიდამოს ოდნავ გადაეკვროდა ამომავალი მზის ვარდისფერი სხივები, ღამენათევი საშა ხალისიანად გამოვიდოდა ეზოში, სამუშაოდ მიმავალ კომუნარებს შესაფერ რჩევა-დარიგებას და დავალებას მისცემდა, და ყველა რომ თავის გზით წავიდოდა, მერე სკოლას მიაკითხავდა.

სამთავისის კომუნის სანახავად და გასაცნობად სისტემატურად მოდიოდნენ დელეგაციები, ყველას საშა მცხვეთაძე აძლევდა ახსნა-განმარტებას. საქართველოს მთავრობა დიდი ყურადღებით ეკიდებოდა კომუნის მუშაობას.

განსაკუთრებული მზრუნველობითა და ყურადღებით ეპყრობოდნენ სამთავისელი გლეხების ინიციატივას სერგო ორჯონიკიძე და მარიამ ორახელაშვილი. ისინი მოდიოდნენ კომუნაში, ეცნობოდნენ მის მუშაობას და ეხმარებოდნენ გლეხებს სიძნელეების გადალახვაში, სერგოს და მარიამს მეტისმეტად მოსწონდათ ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა მასწავლებელი საშა მცხვეთაძე, ხშირად ესაუბრებოდნენ, ამხნევებდნენ, აძლევდნენ რჩევა-დარიგებას, განუმტკიცებდნენ გამარჯვების რწმენას.

„მე ფრთებს მასხამდა და ენერგიას მიასკეცებდა ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის ყოველი სიტყვა და მზრუნველი დამოკიდებულება", — მიამბო შემდეგში საშა მცხვეთაძემ.

განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა კომუნის მიმართ მარიამ ორახელაშვილი. მარიამს მოსწონდა საშას მახვილი გონება და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება. ყოფილი კომუნის წევრებს, ამჟამად მოხუცებს, დღესაც ახსოვთ საშას ოთახის აივანზე მეგობრულად მოსაუბრე ორი ქალი — ერთი სტუმარი, მეორე მასპინძელი, ორივე ერთი იდეით, ერთი საქმით გატაცებული, მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული — მარიამ ორახელაშვილი და საშა მცხვეთაძე.

...ის იყო დაამთავრეს კომუნარებმა სკოლის, კლუბის, სამკითხველოსა და საბავშვო ბაგა-ბაღისათვის შენობის აგება, რომ მარიამ ორახელაშვილი ჩამოვიდა. მან ყურადღებით დაათვალიერა შენობა და საშას საბავშვო ბაგა-ბაღის გახსნა აღუთქვა. მალე სამთავისში ჩამოვიდა ორი ახალგაზრდა ქალიშვილი. ესენი იყვნენ საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე, მასწავლებელი ნინო მჭედლიძე (ამჟამად ლენინგრადის გერცენის ინსტიტუტის დოცენტი) და მასწავლებელი ვერიკო ადამია. ამრიგად სამთავისში მუშაობა დაიწყო საუცხოოდ მოწყობილმა საბავშვო ბაგა-ბაღმა. ეს იყო უდიდესი მოვლენა გლეხის ბავშვების ცხოვრებაში.

დადგა 1926 წელი. საშა მცხვეთაძის ცხოვრებაში მოხდა სასიხარულო მოვლენა: იგი კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს.

1927 წელმა საშა მცხვეთაძეს ახალი სიხარული მოუტანა — მოსკოვში გაგზავნეს საბჭოს წევრ ქალთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატად.

მოსკოვში მან ყრილობაზე გამოსულ ორატორთა სიტყვები გულდასმით და ყურადღებით მოისმინა, სქელი რვეული ჩანაწერებით გაავსო და მდიდარი მასალით დაბრუნდა სამთავისში.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ერთი წელიც არ გასულა, რომ საშა მცხვეთაძე ქვემო ჭალის თემაღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს. საშა უფრო ახლოს გაეცნო მთელი რაიონის გლეხობას. კიდევ უფრო ფართოდ გაშალა საგიტაციო მუშაობა, რაც ასე აუცილებელი იყო საკოლმეურნეო მოძრაობის დასაწყისში.

1929 წლის 20 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა კოლმეურნე ქალთა სრულიად საკავშირო პირველი ყრილობა. ყრილობის დელეგატად საქართველოდან საშა მცხვეთაძე გაგზავნეს.

ამჯერად საშა მოსკოვში უნდა შეხვედროდა ახალი ცხოვრების სარბიელზე გამოსულ, კოლექტიური ცხოვრების მოწინავე ადამიანებს. ყრილობაზე საშა მცხვეთაძე გამოვიდა შინაარსიანი სიტყვით. ამხანაგებს გადაუშალა საკოლმეურნეო ცხოვრების ხუთი წლის მდიდარი გამოცდილება.

ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ საშამ კვლავ დიდი ენერგიითა და საქმის სიყვარულით განაგრძო მუშაობა. იგი გახდა ერთ-ერთი ცნობილი და მოწინავე ქალი რესპუბლიკაში.

1930 წლის დამდეგს საშა მცხვეთაძეს აგზავნიან მოსკოვში ორწლიან უმაღლეს საკოლმეურნეო სკოლაში. აღნიშნული სკოლის დამთავრების შემდეგ მას ნიშნავენ ამიერკავკასიის საკოლმეურნეო ცენტრის საგანმანათლებლო სექტორის გამგედ. იგი ამავე დროს ითვლებოდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ინსტრუქტორად (ამიერკავკასიის რესპუბლიკებში არსებული კომუნების ხაზით).

თბილისში მუშაობა და საპასუხისმგებლო თანამდებობა საშა მცხვეთაძის ოჯახს, მის პირად ცხოვრებას სხვა მომავალს უმზადებდა, მაგრამ საშა ამით არ იხიბლებოდა. მას გული ისევ მშობლიური კოლმეურნეობისაკენ მიუწევდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნით საშა მცხვეთაძე კვლავ უბრუნდება სამთავისის კოლმეურნეობას და ძველებური თავდადებით განაგრძობს მუშაობას. 1933 წელს მას ირჩევენ ამიერკავკასიის მიწსახკომის კოლეგიის წევრად. 1937 წლის დამდეგს საშას ვხედავთ სოფელ იგოეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, სადაც ჩვეული ენერგიით განაგრძობდა მუშაობას.

1944 წლიდან იგი კვლავ მასწავლებლობას დაუბრუნდა, მაგრამ მძიმე დაავადებამ მალე მიაჯაჭვა ლოგინს და აღარც ამდგარა. ვინც კი ამ შესანიშნავ და ენერგიით აღსავსე ადამიანს იცნობდა, ყველა განიცდიდა მჩქეფარე ცხოვრებიდან მის ასე ნაადრევად წასვლას. მძიმედ დაავადებული, არასოდეს არ წუწუნებდა, ყოველთვის ინარჩუნებდა სიმხნევეს და ცხოვრების ინტერესს. მე მანცვიფრებდა ამ ადამიანის სიხალისე და მაფრთოვანებდა ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლისადმი შეურყეველი რწმენა. მას არ უყვარდა თავისთავზე ლაპარაკი. რაც არ უნდა დიდხანს გაგრძელებულიყო ჩვენი საუბარი, იგი მუდამ ჩვენი ქვეყნის გრანდიოზული მიღწევების ირგვლივ ტრიალებდა.

**ნინო ხატისკაცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვახტანგ ბარათაშვილი

# იუდას ამბორი

მოთხრობა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

და-ძმა ნევი და ტედი ტერნეიები ისე ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ ბევრი მათ ტყუპებად სთვლიდა. ოქროსფერთმიანნი, ლურჯთვალებიანი, უდარდელნი, ისინი ყველგან ერთად იყვნენ. და თუმცა ტედი ნევიზე უმცროსი იყო, მაინც რატომღაც უფროსად ითვლებოდა. აი, ახლაც მისი დაჟინებით ჩამოვიდნენ ისინი ჩიკაგოდან ამ ბინძურ და პატარა სოფელ სვიტ-ბეროუში, სადაც გონების დამხშველი სიჩუმე გამეფებულიყო. მაგრამ სწორედ ეს მიყრუებული სოფელი ამჯობინა ტედმა, როდესაც ნევი უცნაური იდეებით შეპყრობილ დან კენვორტს ჩამოაშორა. დან კენვორტი ნიჭიერი მხატვარი იყო. მაგრამ ერთი „უხეირო" რამ ამოიჩემა: ხელოვნება პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია და, რომ ყველაზე სწორ მიმართულებად ფერწერაში რეალიზმი ითვლებაო. მის ნახატებს გაზეთები სულ უფროდაუფრო მეტი სიჩუმით უვლიდნენ გვერდს. ნევი კენვორტის მოწაფე იყო, მაგრამ იგი მაინც სხვაგვარად ხატავდა. ნევის ნახატებზე დიდი მოთხოვნილება იყო. ტედის აზრით, მასწავლებელმა უკვე გადასცა ნევის ყველაფერი, რის მიცემაც კი შეეძლო. ამას გარდა, დანს უკვე დაეწყო უთანხმოებანი გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან.

უკვე ორმა კვირამ განვლო, რაც ისინი ბობოქარ ჩიკაგოსაგან მოწყვეტილნი, მრავალი ასეული მილის აქეთ, ამ მიყრუებულ ადგილას ცხოვრობდნენ. არც არავინ ამჩნევდა მათ და არც ისინი ხვდებოდნენ ვინმეს. მათ საზოგადოებას შეადგენდა მხოლოდ მოხუცი ცელესტინა და მეზობლად მცხოვრები ფერმერის ქალიშვილი, ოცი წლის ემი ხოსკინსი, — ტანადი, მხარბეჭგანიერი, ლოყაწითელი გოგონა, ისეთი ათქვირებული მკერდით, რომ კოფთის ორი ღილი მუდამ შეხსნილი რჩებოდა.

ნევიმ თავისი სურათის „იუდას ამბორის" ერთ-ერთ ფრაგმენტზე დაიწყო მუშაობა. სურათს ჩიკაგოს გამოფენაზე ელოდნენ.



უკვე მეორე საათი დაიწყო, რაც ტედი დას მოდელად ედგა. მისი ჩანაფიქრით ტედის ოქროსთმიან თავს ტილოზე ქრისტეს თავი უნდა განეხორციელებინა. მაგრამ ნევის ბოლომა ახრჩობდა — ვერაფრით ვერ ახერხებდა მიმსგავსებას. იქნებ იმიტომ, რომ სეანსების დროს ტედი სენდვიჩს ღეჭავდა, ან იქნებ იმიტომ, რომ სულ არ ფიქრობდა იმაზე, რაზედაც ნევის აზრით უნდა ეფიქრა და ამის გამო მის სახეს არაფერი საერთო არ ჰქონდა სურათის გმირის ნაღვლიან სახესთან.

...ნევი უკვე მეორე საათი იყო წვალობდა. ბოლოს ამოიოხრა და ნაწყენმა თავი მაღლა ასწია. — არ უნდა იღიმებოდე, ტედ, — მიმართა ნაზად ნევიმ. — შენს თვალებში ტანჯვა უნდა იხატებოდეს... ტანჯვა და იმის გრძნობა, რომ თავისი ამბორით იუდა გყიდის შენ. აბა, წარმოიდგინე...

— ეს მე ვერ წარმომიდგენია, — მიუგო ტედმა. — მე ხომ ისეთი სულელი არა ვარ, რომ ვინმემ გამყიდოს.

სწორედ ამ დროს კარზე ვიღაცამ დააკაკუნა და ქოხის ზღურბლზე პოლიციის ლეიტენანტის ფორმაში გამოწყობილი მაღალმაღალი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა.

— მარტინ ო' კიდი, — გააცნო თავი ოთახში მყოფთ, — ფრიად მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი.

ტედმა ცნობიმოყვარეობით შეხედა, ნევიმ კი ცივად ჰკითხა:

— რა გნებავთ?

ო' კიდმა მის ხმაში მტრული განწყობილება შეიგრძნო.

— გთხოვთ მაპატიოთ, — გულგრილად წარმოთქვა მან, — მაგრამ თქვენ უკვე თექვსმეტი დღეა, რაც აქ იმყოფებით. მე, როგორც ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელი...

— გასაგებია, — უთხრა ტედიმ და წიგნი გვერდზე გადადო, — უბრალოდ ვერ მოვისაზრეთ გავცნობოდით. ჩვენ ჩიკაგოს მცხოვრებნი გახლავართ, თუ ეს თქვენთვის საინტერესოა. ჩემი და ხატავს, მე კი მამაჩემის მემკვიდრეობას ვანიავებ. — მან საუბარი დამთავრებულლად ჩასთვალა და კვლავ წიგნში ჩარგო თავი.

ო' კიდის კილო ზედმიწევნით თავაზიანი, მაგრამ მტკიცე იყო:

— მე მსურს ჩავიხედო იმ საბუთებში, რომლებიც ამას დამიმოწმებენ.

— ნუთუ ჩემი ახსნა-განმარტება საკმარისი არ არის? — წარმოთქვა ქედმაღლურად ტედმა.

ო' კიდიმ პასუხი არ გასცა. იცდიდა.

ნევის გაეცინა და კოლოფიდან პასპორტები ამოიღო.

— შენ გავიწყდება, ტედ, რომ ლეიტენანტი „ფრიად მნიშვნელოვან საქმეთა“ შესასრულებლად არის მოსული, და ჩვენც უნდა დავემორჩილოთ.

— ჩემთვის გასაგებია თქვენი ირონია, მისს, — შენიშნა მშვიდად ო' კიდიმ. — აქ ტიტული არაფერ შუაშია. მაგრამ კანონი მავალებს ფორმით ვიარო.

ბოლოს ნევიმ, როგორც იყო, შეხედა მოსულს. მყისვე გაჰქრა სადღაც მტრული განწყობილება და მხატვრის ალტაცების გრძნობას დაუთმო ადგილი. ო' კიდის არაჩვეულებრივი სახე ჰქონდა — მსხვილი, გადაბმული წარბები, ჯიუტად გაპობილი ნიკაპი, ჩამუქებული მწველი თვალები. ასეთი სახეები ნევის იშვიათად ხვდებოდა.

ო' კიდიმ ყურადღებით გადაათვალიერა პასპორტები. შემდეგ ტილოჩამოფარებული ჩარჩო და გახსნილი საღებავები შეათვალიერა. მომღიმარი ნევი თვალს ადევნებდა ლეიტენანტს — წარსული წყენის კვალიც კი არ დარჩა.

— გიყვართ ფერწერა? — ჰკითხა მოულოდნელად ნევიმ. ქალის ხმა მეგობრულად ჟღერდა. მისი თვალები ლურჯად ციმციმებდნენ. ო' კიდიმ ყურადღებით შეხედა ნევის და სერიოზული კილოთი უთხრა:

— დიახ. მე მიყვარს ფერწერა. მე ვიცნობ თქვენს ნახატებს.

— აი, თურმე რა ყოფილა! — დაინტერესდა ნევი.

— არა თუ ვიცნობ, მიყვარს კიდევაც ისინი. ახლა ჩვენში ასე აღარ ხატავენ...

— არა, არა, — შეაწყვეტინა სიტყვა ნევიმ, — თქვენ რომ ნახოთ დან კენვორტის ნახატები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღე ვნახულობ მათ, მისს. — გაიღიმა ო' კიდიმ — ზოგიერთი მათგანის ორიგინალიც კი მაქვს. ჩემი ოთახის ოთხივე კედელი კენვორტის ნახატებითაა დაფარული.

— იცით რა, პირველად მე ძალიან ცუდ თვალზე მეჩვენეთ. ასეთი იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება, როცა ოთახში შემოხვედით. თქვენ გსურთ დაათვალიეროთ ჩემი ნახატები?

წიგნი სკივრიდან ბრახუნით დაეცა ძირს. ნევი შეხტა. ტედი, ვითომც არაფერი მომხდარაო, ადგილზევე იჯდა და მადიანად ამთქნარებდა.

ნევიმ დამნაშავესავით გაიღიმა.

— მობრძანდით ხვალ. — წასჩურჩულა თხოვნის კილოთი.

ო' კიდიმ მადლობის ნიშნად თავი დაუქნია და ყოყმანით უთხრა:

— თუ არაფერმა შემიშალა ხელი...

ვახშმობისას ერთხელაც არ უხსენებიათ შუადღის ამბავი. მხოლოდ მოხუცმა მსახურმა ცელესტინამ ჯიუტად მოკუმა ტუჩები, გახამებულ წინსაფარში ხელები შეჰყო და წაიბუტბუტა:

— თქვენ დღეს ძალიან ცუდად შეხვდით მისტერ ო' კიდის, მისს! დაჯდომაც კი არ შესთავაზეთ. ის ძალიან კარგი კაცია, სიმართლის მოყვარული.

მეორე დღეს მარტინ ო' კიდი მართლაც მოვიდა მათთან.

— ცუდ დროს მოვედი? — იკითხა მან.

— რასა ბრძანებთ! — თავაზიანად მიუგო ნევიმ. — დაბრძანდით, დანთან წერილს ვწერ, — წასჩურჩულა კალმა და ამოიოხრა, — რატომღაც მისგან პასუხი არ არის და არა. მე ძალიან მიყვარს დანი. მან ბევრი რამ შემასწავლა. ძალიან დავალებული ვარ მისგან. მაგრამ აი, ტედს არ სურს, რომ მე მას შევხვდე. არც ის უნდა, რომ დანმა ჩვენი ადგილსამყოფელი იცოდეს. — და მერე დასძინა: — ის უდიდესი მხატვარია.

— ის შტატების საუკეთესო მხატვარია! — მტკიცედ წარმოთქვა ო' კიდიმ. — საუბედუროდ მას რაღაც უთანხმოება მოუხდა გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან; მაგრამ მის ნახატებს ბადალი არ გააჩნია.

— დიახ, დიახ, — მიუგო ცოცხლად ნევიმ, — აი, მე თქვენ გიჩვენებთ რამდენიმე ჩემს მონახაზს. ზოგიერთი მათგანის გაკეთებაში დანი დამეხმარა. მისი აზრით, ხელოვნება, რომელიც არაფერს არ იძლევა, რა საუცხოო ტექნიკითაც არ უნდა იყოს შესრულებული, ხელოვნება არ არის.

ნევიმ სტუმარს უჩვენა ნატურმორტები, პორტრეტული ჩანახატები, სურათის ესკიზები, პეიზაჟები, და ო' კიდიც ზუსტად ცნობდა იმ ნამუშევრებს, რომლებიც კენვორტის დახმარებით იყო შესრულებული.

— პირდაპირ საოცარია, — წამოიძახა აღტაცებულმა ნევიმ, — როგორ კარგად ცნობთ კენვორტს!

ო' კიდიმ მხრები აიჩეჩა.

ნევი შეჰყურებდა მარტინს და სულ უფროდაუფრო მეტად იზრდებოდა მასში ვაჟისადმი ინტერესი. დიახ, ცხადია, მას არა მარტო უყვარდა და ესმოდა ფერწერა, ის ამ ხელოვნებას ისევე გრძნობდა, როგორც თვითონ ნევი.

— იცით რა? — უთხრა ზურგშექცეულმა ნევიმ, — ნახეთ ჩემი „იუდა"...

ის სწრაფად მივიდა ჩარჩოსთან და ტილო გადახადა. თვითონაც უკვირდა, როგორ გაბედა ამ ესკიზის ჩვენება. იქნებ იმიტომ, რომ ქრისტეს თავი არ გამოსდიოდა, ან იქნებ იმიტომაც, რომ სურდა გაეკვირვებინა ჩანაფიქრით, ამ უძველესი თემის შესრულების ორიგინალობით.

ო' კიდი ნევის ზურგსუკან იდგა. მან დიდხანს ათვალიერა ტილო და დიდხანსაც სდუმდა. ბოლოს შენიშნა:

— ეს თქვენი ძმის თავია.

— ცხადია. — გაეცინა ნევის. — აქ თქვენ ნატურას ხედავთ.

— არა. მე ვხედავ ცარიელ თვალებს. — წარმოთქვა ო' კიდიმ.

— თქვენ თავაზიანად არ იქცევით, მისტერ ო' კიდი. — შენიშნა ნევიმ დაუდევრად, — მე და ჩემი ძმა ხომ ძალიან ვგევართ ერთმანეთს.

— ო, არა. — წამოიძახა ვაჟმა. — თქვენ სულ არ გავხართ ერთმანეთს. პირველად ასე ეჩვენება კაცს. თქვენ სრულებით, სრულებით არ გავხართ ერთმანეთს. თქვენს თვალებში...

— ნუ მიყურებთ ასე. — მოიღუშა ნევი, — მივიდა ნახატთან და ტილო ჩამოაფარა. — მართლა, ცელესტინამ თქვენთვის ნამცხვარი გამოაცხო.

— ჩინებულია, — მოიწონა ო' კიდიმ, — ჩვენ საუკეთესოდ შეგვიძლია გავატაროთ დრო — ნამცხვარს შევექცეთ და ლექსები ვიკითხოთ. — მან ჯიბიდან ტარსიკონის ყდაში ჩამჯდარი პატარა წიგნი ამოიღო. ნევიმ ნაძალადევად წაავლო წიგნს ხელი და გაქვავდა — ეს პატარა ტომი რობერტ ბერნსის ლექსების იშვიათი გამოცემა იყო. ნევიმ გადაფურცლა და პირველ გვერდზე ძველებურ, ჩუქურთმისებურ წარწერას დახედა:

„იმ ქალს, რომელიც სიცოცხლეს მირჩევნია".

— ამ პატარა წიგნს ჩვენს ოჯახში ინახავდნენ, როგორც წმიდათაწმიდას. როდესაც დედა კვდებოდა, დამიბარა: „შვილო, ეს ყველაზე ძვირფასი ნივთია ჩვენს ოჯახში. შეინახე და თუ როდისმე ვინმეს უსახსოვრებ — იცოდე, წარწერა არ ტყუოდეს".

— და თქვენ ასეთი შემთხვევა ჯერ არ გქონიათ? — ფრთხილად შეეკითხა ნევი.

— ჯერ არა, — მშვიდად უპასუხა ვაჟმა. — ჰო, მართლა ნამცხვარი სულ დაგვავიწყდა.

... სამმა თვემ განვლო.

ნევი ბედნიერად გრძნობდა თავს. ყველაზე კარგი ნამუშევარი სწორედ აქ შეასრულა, იმიტომ, რომ აქ მარტინ ო' კიდი იყო.

ერთხელ, როგორღაც, მან თავის ძმას ახალი ესკიზი უჩვენა — მოტეხილ ღეროზე წყლის ზოლი. რაღაც ქვეცნობიერმა გრძნობამ აიძულა დაეხატა ეს ესკიზი. ამიტომ თვითონვე გაუძნელდა აეხსნა ძმისათვის ამ ნახატის მნიშვნელობა. ყვავილის გვირგვინი ნაზად მიჰკროდა სარკისებურ წყალს. ყვავილს ჰქონდა ჯერ არ შეჰპარვოდა — ათრთოლებულ ფურცლებსა და ფოთლებს ამაყად შეენარჩუნებინათ ყვავილის უბიწო სინარნარე. ერთის სიტყვით, ეს არ იყო ნამდვილი სიკვდილი. პირიქით, თითქოს ყვავილი თავგანწირული სთმობდა სიცოცხლეს.

— აბა, რას იტყვი? — ჰკითხა ნევიმ.

ტედმა ზერელედ გადაათვალიერა აქვარელი და დაუდევრად მიუგო:

— ფსიქოლოგიური აბდა-უბდაა. ეს როგორ მოგივიდა თავში?

ნევის ლურჯი თვალები რისხვით აღევსო:

— შენ აბსოლუტურად არაფერი გაგეგება! ეს ყვავილი ხომ უსასყიდლოდ თმობს ყველაფერს?!

ტედმა გესლიანად ჩაიხითხითა:

— რაც შემეხება მე, — წაილაპარაკა მან. — ასეთ სისულელეს არასოდეს არ ჩავიდენდი.

აღშფოთებული ნევი ორი დღე არ ელაპარაკებოდა ძმას. როცა ამის შესახებ მარტინ ო' კიდის შესჩივლა, მან დააწყნარა:

— ნურაფერი გწყინს მისგან! მას ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ესმის. უმჯობესია, მითხრა, როგორაა შენი „ქრისტე".

ნევიმ ამოიოხრა:

— არც როგორ. არაფერი არ გამოდის, მარტ. ყველაზე უფრო, იცი, რა მაკვირვებს? ხშირად ტედის თვალებში ისეთ გამომეტყველებას ვიჭერ, რომელიც გამყიდველი იუდას თვალებში უნდა გამოსჭვიოდეს, ეს ისე მაშინებს, რომ უკვე აღარ მინდა ამ სურათის ხატვა.

— აბა, რას ამბობ! — იწყინა მარტინმა.

— შენ არ იცი, რა მკაცრია ბედი. და თუ ის ადამიანს ბედნიერებას anიჭებს, სამაგიეროდ წლობით სტანჯავს მას. არავინ არ არის დაცული მისი ხვედრისაგან. შენ? ნუთუ შენ არ გეშინია?

— არა. მე ბედის არ მჯერა. შენ კი, შენ ძალიან გიყვარს უცნაური რამეების გამოგონება.

მაგრამ ნევის წინათგრძნობა მართალი გამოდგა:

პირველი დარტყმა — ეს იყო გაზეთი „ჩიკაგო-ნიუსი", რომელიც იტყობინებოდა, რომ გამოძიების ფედერალური ბიურო დაეძებს

მხატვარ დან კენვორტს, რომელიც ერთი კვირის წინ ჩიკაგოდან გაქრაო, გამოცხადებული იყო ჯილდო — ხუთი ათასი დოლარი, თუკი ვინმე მხატვრის ადგილსამყოფელს მიაგნებდა.

შეშინებულმა ტედმა ხმამაღლა წამოიძახა:

— რა კარგია, რომ იქიდან წამოვედით! ჩვენ უთუოდ გაგვრევდნენ ამ ბინძურ საქმეში. დროზე გამოვასწარით.

ნევი ხმას არ იღებდა. ორი კვირის განმავლობაში თვალებდასიებული დადიოდა. არაფერს არ შეეძლო ამ დარდის გაქარწყლება. ო, კიდი ცდილობდა მის დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ.

მეორე დარტყმა მას ტედმა მიაყენა:

ერთხელ, როდესაც მორიგი სეანსის შემდეგ ნევი ხელებს იბანდა, ტედმა დას ჰკითხა:

— შენ არ დაჰკვირებიხარ, როგორ მოუკლო მარტინმა ამ ბოლო ხანებში ჩვენთან სიარულს?

— რასაკვირველია, არა. და არ მესმის, რატომ გიკვირს ეს ამბავი.

— იმიტომ მიკვირს, რომ იმ დღეებში, როდესაც ჩვენთან არ მოდის, მას ემი ხოსკინსის ეზოში ვხედავ.

ნევიმ ხმაურით მისწია ვედრო, რომელშიც ხელებს იბანდა.

— ეს უხეირო ხუმრობაა, ტედ, — უთხრა მან წყნარად.

ძმამ მხრები აიჩეჩა:

— ძალიან მიყვარხარ და არ მინდა, რომ მოტყუებული დარჩე.

იმავ საღამოს, როცა მარტინი მოვიდა, თითქოს არაფერი მომხდარაო, ნევიმ მხიარულად მიმართა:

— საბრალო, მარტ! შენ კი მოხვედი, მაგრამ მე დღეს ხატვას ვაპირებ.

— სამწუხაროა, — თქვა დანანებით მარტინმა, -- დღეს სწორედ თავისუფალი საღამო მქონდა...

— ხვალ მოდი.

— რომ დავრჩე, ხელს შეგიშლი?

— ხელს შემიშლი. — დაუდასტურა ნევიმ. — შენ ხვალ მოხვალ. — თავი დაუკრა და მარტინს გასვლისთანავე კარები ცხვირწინ მიუხურა.

როდესაც ვაჟის სილუეტი მოსახვევში გაუჩინარდა, ნევიმ პალტო მოიხურა, ბაღის ყველაზე მივარდნილ კუნჭულში გაძვრა, საიდანაც კარგად მოჩანდა ხოსკინსების ჭიშკარი და ლოდინი დაიწყო.

ნევიმ იცოდა, რომ ეს არაპატიოსანი საქციელი იყო, მაგრამ მას ყველაფერი თავისი თვალით უნდა ენახა, თუნდაც მთელი ღამე გაეთენებინა აქ...

მხოლოდ ორი საათის ლოდინი დასჭირდა.

როდესაც კარგად დაბინდდა, დაინახა, რომ მარტინ ო. კიდი ხოსკინსების ჭიშკარს ფრთხილად მიუახლოვდა, ჭიშკარი გამოსწია — კარის სახელურმა ოდნავ დაიჩხაკუნა. მაშინ ვაჟმა აქეთ-იქით მიმოიხედა და ღობეზე გადახტა.

ნევის გაეცინა. მერე რა, ტედი, როგორც ყოველთვის, მართალი გამოდგა. მაგრამ ის არავის მისცემს ნებას მოატყუონ. ის იმ ქალების რიცხვს არ ეკუთვნის, რომლებსაც ატყუებენ. ამას დაუმტკიცებს მისტერ ო. კიდის. პალტომოხურული ნევი შინ დაბრუნდა.

— რა მოგსვლია, — ჰკითხა მზრუნველობით ტედმა, — რა ფერი გადევს!

— რაღაც მომეჩვენა. — უთხრა მან მშვიდად, — ჩაჯექი სავარძელში. უნდა ვიმუშაო.

მარტინი რამდენიმე დღეს აღარ გამოჩენილა.

მხოლოდ ახლა მიხვდა ნევი, თუ რას წარმოადგენდა მისთვის ეს ადამიანი. გულისტკივილს შეურაცხყოფის გრძნობაც ემატებოდა — მიატოვეს და მერე ვისთვის? ან რას წარმოადგენს ამის შემდეგ თვითონ მარტინი!

როდესაც ო კიდი კვლავ ესტუმრა, ნევი ძალიან ცივად და თავშეკავებულად შეხვდა მას.

— შეუძლოთა ხართ? — ჰკითხა მარტინმა და ქალის გაცრეცილი სახე მზრუნველობით შეათვალიერა.

— არა. კარგად ვარ, — გულგრილად მიუგო ნევიმ.

ტედმა ფურცლები ააშრიალა და დამცინავი ხმით გადმოულაპარაკა:

— სამი დღის წინ ხოსკინსების ბაღში რაღაც მოიჩვენა.

მარტინმა თვალები დახარა. სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე თანდათან აუტანელი გახდა. ბოლოს კვლავ ტედმა შენიშნა:

— ამბობენ, სეიტ-ბეროუში დან კენვორტი ჩამოსულაო.

— გაგიჟდი? — წამოიძახა შეშინებულმა ნევიმ.

— ასე ამბობენ. მართალია, ლეიტენანტო?

— არ ვიცი. შესაძლოა. — უპასუხა მარტინმა ისე, რომ ზევით არც კი აუხედავს.

— ხუთი ათას იძლევიან. — არ ცხრებოდა ტედი, — სუფთა ხუთი ათას დოლარს. შესაძლოა, ჩვეულებისამებრ, ჩვენთან, ჩემს დაიკოსთან მოვიდეს. თუ ეს მოხდება, ვფიქრობ თქვენ მკაცრად არ მოეკიდებით. ძველი ანდაზაა: ჩემი ამხანაგის ამხანაგი იგივე ჩემი ამხანაგიაო...

— დან კენვორტი დამნაშავეა. — დასძინა ო' კიდიმ და თვალები პირველად ასწია ზევით, — სახლში მისი მოსვლა არ შეიძლება.

— დამნაშავე?! — აღმოხდა ნევის.

— დიახ. მან კანონის წინაშე დანაშაული ჩაიდინა, — ჯიუტად დაემოწმა მარტინი. — ამიტომ დან კენვორტი ვერ მოვა ამ სახლში. შესაძლოა, პოლიციამ მოატანოს აქ.

— პოლიციამ? — გააგრძელა სიტყვა ტედმა, — ჰო, ცხადია, ხუთი ათას დოლარად კაცს მშვენიერი ფერმის შეძენა და თანაც ფერმერის ქალიშვილის შერთვაც შეუძლია.

— კმარა! — შეაწყვეტინა სიტყვა ნევიმ, — მარტინ, კარგი იქნება თუ დამტოვებთ.

— თუ თქვენ გსურთ დან კენვორტის დაპატიმრება, უმჯობესია, ბაღში დაუდარაჯდეთ — ჩაურთო ტედმა და სკივრიდან წამოდგა, — ვიდრე აქ, ამ ოთახში, სადაც მე და ნევი ვიმყოფებით, — და კარები თავაზიანად გაუღო.

— ნევი, — წაილაპარაკა ყრუდ მარტინმა, — მე მინდა...

— არ გაბედო! — შეჰყვირა მან, — არ გაბედო სიტყვის ამოღება! შენ... შენ... — რისხვამ და ცრემლებმა კინაღამ დაახრჩო ნევი. მარტინმა ხელი გაუწოდა, მაგრამ ქალმა მაშინვე მოიშორა და სახეში სილა გააწნა.

საღამოს ტედს ჰკითხა:

— გჯერა, რომ დანი აქ იმყოფება?

—რასაკვირველია, — უპასუხა ძმამ. — ხომ მისწერე, სად ვიმყოფებოდით.

ცოტა ხნის შემდეგ ტედი სადღაც გაქრა, ღამით გვიან დაბრუნდა და განაცხადა:

— დან კენვორტი დაპატიმრებულია. უნდა წავიდეთ აქედან. ჩქარა მოემზადე, სანამ ჩვენთვისაც არ მოუკითხავთ.

— ჩვენ რატომ უნდა მოგვაკითხონ? — შეშინდა ნევი.

— იმიტომ, რომ დანი ჩვენი სახლის სიახლოვეს დააპატიმრეს. მას თურმე ო კიდი და რამდენიმე პოლიციელი მიჰყვებოდა.

ნევი ცელესტინისაკენ შებრუნდა, რომელიც მწუხარებისაგან გაქვავებული კარებში იდგა.

— დიახ, მისს, — დაემოწმა ცელესტინა, — ასეა. — ის სინანულით იქნევდა ხუჭუჭთმიან ჭაღარა თავს, — მეც ვნახე... ასეა ასე, მისს..

— არა, — ამბობდა ნევი და მუდარით შესცქეროდა ძმას, — არა, არა! ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო!

— ოო, მორჩი რა! — წაილაპარაკა ტედმა და თან ჩემოდანში აჩქარებით სტენიდა თეთრეულს, ნახატებს... ფარფლებიან ქუდებს, ყველაფერს, რაც კი რამ ხელში ხვდებოდა.

ბურანში მყოფმა ნევიმ ძმას მიშველება დაუწყო. უაზროდ მიჰქონდ-მოჰქონდა ნივთები ერთი ადგილიდან მეორეზე; გაბრაზებულმა ტედმა ველარ მოითმინა:

— თუ არ მეშველები, ხელს მაინც ნუღარ მიშლი. შენი თაყვანისმცემლები აი, აქ ამოვიდნენ, — და ხელით ყელზე ანიშნა, — საკმარისია. ჯერ დანი, მერე ეს...

ქალმა მორჩილად დაიწყო ჩაცმა. ახლა მისთვის ყველაფერი სულერთი იყო.

როდესაც ისინი სახლიდან გამოდიოდნენ, წინ ემი ხოსკინსი შეეჩეხათ. გოგონას გულზე ნევისათვის ნაცნობი ტარსიკონის —

ტირსო დე მოლინა „ღვთისმოსავი მართა".



# ირინა შტენბერგი

ძნელია ისაუბრო შემოქმედზე, რომლის ოსტატობამ დიდი ხანია მოიპოვა საერთო აღიარება. ძნელია გადმოსცე, თუ როგორ ცდილობს იგი ჩაახედოს თავის სულში ათასობით უცნობი ადამიანი, როგორია მისი დამოკიდებულება მოვლენებისა და საგნებისადმი, ძნელია. მაგრამ საინტერესოა და მეტისმეტად მაცდუნებელი...

საუბარი ეხება საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარ ირინა შტენბერგს.

ხელოვნებაში ცხოვრება ირინა შტენბერგმა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა. მისმა პედაგოგებმა, გამოჩენილმა ოსტატებმა: ბ. შებუევმა, გ. გაბაშვილმა, ი. შარლემანმა. ე. ლანსერემ, გ. გრინევსკიმ, ი. ნიკოლაძემ და სხვებმა გამოიყვანეს ქალიშვილი დიდი ხელოვნების გზაზე. სამხატვრო აკადემია 1928 წელს დაამთავრა და ათი წლის მანძილზე მოსკოვისა და თბილისის სხვადასხვა გამომცემლობებში მუშაობდა როგორც გრაფიკოსი. ა. ვ. ლუნაჩარსკის რეკომენდაციით 1929 წელს მოსკოვში მოეწყო ქართველი მხატვარი ქალის პირველი პერსონალური გამოფენა. მას მოჰყვა გამოფენები ისევ მოსკოვში და შემდეგ თბილისში.

ირინა შტენბერგი მრავალი ჟანრული ნახატების, მწერალთა პორტრეტების, დაზგური გრაფიკის ნაწარმოების ავტორია. მაგრამ მის შემოქმედებაში უპირატესი ადგილი მაინც თეატრალურ მხატვრობას უჭირავს. თეატრს მიუძღვნა მან თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ნახევარი და ახლაც ამ დარგში განაგრძობს მუშაობას.

ერთხელ მას ასეთი შეკითხვა მისცეს:

— თქვენი შემოქმედებითი გზა თავიდან რომ დაგეწყოთ, რას აირჩევდით, გრაფიკას, თუ თეატრს?

— უთუოდ თეატრს. თეატრალური მხატვრის მუშაობა მეტად საინტერესოა. მისი ნამუშევარი თითქოს ცოცხალი ორგანიზმია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი საღამოს განმავლობაში მოძრაობს, მოძრაობს მანამ, ვიდრე ფარდა დაეშვებოდეს, ვიდრე სინათლე ჩაქრებოდეს, მეორე საღამოს ისევ თავიდან იწყება ეს მოძრაობა და სიცოცხლე... მე უკვე ყველა ფეხით შევეზარდე თეატრს. უსცენოდ ჩემთვის წარმოუდგენელია სიცოცხლე.

ირინა შტენბერგის პირველი თეატრალური ნამუშევარი იყო კოსტუმების ესკიზები ე. დევალის პიესისათვის — „ცხოვრების ვედრება", რომელიც თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრში დაიდგა ა. სმეიანოვის რეჟისორობით. შემდეგ ამავე თეატრში გააფორმა ლ. ვერნეილის პიესა „ელენეს მოტაცება", მან სპექტაკლისათვის მოამზადა როგორც დეკორაციები, ასევე კოსტუმების ესკიზები. ი. შტენბერგი პარალელურად თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში მუშაობს. ორი თეატრის სპექტაკლების გაფორმებისას მხატვარი ქალი ყოველთვის ითვალისწინებს მაყურებელთა ასაკის სპეციფიურობას და თავისებურებას. თუ გრიბოედოვის სახელობის თეატრში სპექტაკლის გაფორმებას ფსიქოლოგიურად წყვეტს, მაყურებლის წინაშე ხსნის პიესაში ასახული ცხოვრებისეული სიმართლის ყველა ნიუანსს, საბავშვო თეატრში იგი იყენებს გამომსახველი დეტალების ენას, იჩენს უშრეტ გამომგონებლურ ნიჭსა და ფანტაზიას, განსაკუთრებით მაშინ, როცა პიესა-ზღაპარს აფორმებს. განსაცვიფრებლად გამომსახველია მისი „გაადამიანებული" სამზარეულოს ქვაბები სპექტაკლში — „ჩექმებიანი კატა", არანაკლებ შთამბეჭდავი და თავშესაქცევია თოჯინების წარმოდგენის პერსონაჟები: გაუცინარი მეფის ასული, მაიმუნიანი უცხოელი, დედა ემელი. ი. შტენბერგი თოჯინების რუსულ თეატრშიც მუშაობდა რამდენიმე ხანს. ეს თეატრი მან დაარსა რეჟისორ ნ. მარშაკთან ერთად, რომელთანაც მხატვარ ქალს დიდი შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა. ნ. მარშაკის, ი. შტენბერგისა და კომპოზიტორ ბეიერის მიერ შექმნილი სპექტაკლები დასამახსოვრებელი, ამაღლვებელი, ნათელი და სანახაობითი იყო. რომანტიკული და ზღაპრულად მშვენიერი იყო ე. შვარცის „თოვლის დედოფალი" (რეჟისორი ნ. მარშაკი), „მშვენიერი ვასილისა" (რეჟისორი ე. გინზბურგი), „ჩექმებიანი კატა" (რეჟისორი გ. ლვინიაშვილი), „ბროლის ქოშები" (რეჟისორი მ. აბორიანი). გამომსახველად იყო გაფორმებული „ტომ სოიერი", „თეთრად ფრიალებს აფრა ეული" (რეჟისორი გ. ტოვსტონოგოვი), „ბიძია თომას ქოხი" (რეჟისორი ნ. მარშაკი) და ბევრი სხვა სპექტაკლი. მათი მხატვრობა თითქოს ნაწარმოებთა ცოცხალი ილუსტრაციები იყო. ასეთივე იყო მხატვრის მიერ შექმნილი კოსტუმების ესკიზებიც. ეს უბრალოდ ნახატი — ესკიზები კი არ იყო, არამედ მთელი პორტრეტული ჩანახატები, ხასიათების მთელი გალერეა, რომელიც ეხმარებოდა მსახიობებს სწორი გზა ეპოვათ სახეების გასახსნელად. ტომ სოიერი, მეკ ფინი, პატარა ყაჩაღი („თოვლის დედოფალი"), დიკი, ანჯელა („თოვლის გუნდა"), დეიდა ირენი („ცხოვრების ვედრება"), ვასა ჟელეზნოვა, მოლჩალინი, ჩაცკი („ვაი ჭკუისაგან") და სხვები. ეს იყო პორტრეტები როლებში.

ასამდე სპექტაკლი გააფორმა ირინა შტენბერგმა გრიბოედოვის სახელობის თეატრში. შეიძლება ზოგიერთი მათგანი რამდენადმე უფერული იყო გამოსახულების ძალით, მაგრამ უმრავლესობა მაღალი პროფესიონალიზმით იყო შესრულებული. ასეთი იყო, მაგალითად, შერიდანის „ამაოების ბაზარი" (1941 წ. რეჟისორი გ. ტოვსტონოგოვი), მძაფრი და დახვეწილი სპექტაკლი, ფერადოვნად და ნატიფად გაფორმებული მხატვრის მიერ; ა. ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება", ლ. ტოლსტოის „განათლების ნაყოფი" (რეჟისორი ი. რუბინი), ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები", ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან" (რეჟისორი ა. თაყაიშვილი), თ. დოსტოევსკის მიხედვით „დანაშაული და სასჯელი" (რეჟისორი ს. ჭელიძე) და ბევრი სხვა. ცალკე უნდა ითქვას მ. მრევლიშვილის „მგზნებარე მეოცნების" (რეჟისორი ე. ბრილი) ბრწყინვალე მხატვრულ გაფორმებაზე. აქ ყოველი სცენა ი. შტენბერგს გულდასმით აქვს მოფიქრებული, განსაკუთრებით შთამბეჭდავია სცენები — საქართველოს სამხედრო გზაზე და მეჩეთთან. პორტალები შავ-თეთრ ფერებშია გადაწყვეტილი, ამით მინიშნებულია ა. გრიბოედოვის ბედნიერი შემოქმედება და მისი ტრაგიკული ხვედრი.

ბევრი სპექტაკლი გააფორმა ირინა შტენბერგმა ქართული თეატრების სცენებზეც, უპირატესად კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში: ალ. დიუმა-შვილის „მარგარიტა გოტიე", უ. შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება", მ. გორკის „ფსკერზე", ა. კასონას „ხეები ზეზეულად კვდებიან", კოროსტილოვის „მე მჯერა შენი" და სხვა.

ი. შტენბერგის შემოქმედება განუყოფელია ქართული თეატრალური დეკორატიული ხელოვნებისაგან. მას კარგად ესმის ქართული ხელოვნების ეროვნული თავისებურებანი. ამას მეტყველებს მის მიერ გაფორმებული პიესები: ი. ვაკელის „გიორგი სააკაძე" და ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები".

ი. შტენბერგი ყოველთვის ითვალისწინებს თეატრის სპეციფიკას, მის მაყურებელს. საკმაოა ნახოთ მისი გაფორმებული „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება" (პ. აბრაჰამსის მოთხრობის მიხედვით კ. მიუფკეს ინსცენირება) ორ თეატრში — გრიბოედოვის სახელობის თეატრსა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, რომ უმალვე იგრძნოთ, თუ რა კარგად ესმის მხატვარს თითოეული ამ თეატრის შემოქმედებითი მიმართულება.

საინტერესოა სპექტაკლზე მხატვრის მუშაობის პროცესი: ვიდრე დეკორაციის ესკიზებს მოამზადებდეს, იგი დაკვირვებით სწავლობს პიესაში ასახულ ეპოქას. ი. შტენბერგის ესკიზები უკვე დასრულებული ნაწარმოებია. მათი მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ სპექტაკლის არა მარტო მხატვრულ

ლიაბიში. „ჩალის ქუდი".







შექსპირი. „მეთორმეტე ღამე".



შექსპირი.

„ჭირვეული ცოლის მორჯულება"



მიუფკე. „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება".



შვარცი. „შიშველი ხელმწიფე".



აიტმატოვი. „წითელთავსაფრიანი არყის ხე".

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამკურნალო წყაროების ქალაქში

ბევრი საზრუნავი აქვს კურორტ წყალტუბოს სანატორიუმ „შახტიორის“ მთავარი ექიმის მოადგილეს სამედიცინო დარგში თინა ერასტის ასულ ყორყოლაძეს. ვინც მის მუშაობას ახლოს გაეცნობა, დარწმუნდება, რომ გამოცდილი თერაპევტი კეთილსინდისიერად უძღვება მინდობილ უბანს.

აი, მისი ერთ-ერთი ჩვეულებრივი დღე:

ჯერ ავადმყოფ-დამსვენებელთა ახალი ნაკადი მიიღო, ახლადმოსულებს გაესაუბრა, გულდასმით გაეცნო თითოეულის საკურორტო რუკას, დაავადების მიხედვით პალატებში გაანაწილა, შემდეგ კურორტის მართვის საბჭოდან დარეკეს, გაგრიდან სტუმრები გვეწვივნენ, თქვენი სანატორიუმის გაცნობა აინტერესებთო. მაშინ მთავარი ექიმი შვებულებაში გახლდათ და თინა მის მოვალეობას ასრულებდა. მედიცინის მუშაკებს გულთბილად შეხვდა. მერე, დღის განაწესის მიხედვით, სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტები ჩამოიარა, ერთ ხანს პალატებში დაჰყო ავადმყოფებთან, — გაიგო, ვინ რას ითხოვდა, რა უჭირდა და ყოველივე უბის წიგნაკში ჩაინიშნა.

ზოგიერთ ავადმყოფს ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით თავდაპირველად მხოლოდ თითო აბაზანას უნიშნავენ. ბევრი გულნაკლულია ამით, ჰირვეულობს, დახარბებულია მეტი პროცედურის მიღებისათვის. საწადელს ვინც ვერ აღწევს, თინა ერასტის ასულს შესჩივლებს ხოლმე: მკურნალმა ექიმმა აბაზანების მიღება შემიზღუდაო. მთავარი ექიმის მოადგილე მას არწმუნებს: ექიმი სწორად მოიქცა, რადიაქტიური აბაზანების ნებისმიერად მიღებას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლიაო. როცა კეთილი რჩევა არ ჰრის, ჯიუტებზე განსაკუთრებულ კონტროლს აწესებს.

თინა „შახტიორის“ სახელოვან კოლექტივში ამ რამდენიმე წლის წინათ მოვიდა. მას მცირე წვლილი როდი შეაქვს სანატორიუმის საერთო წარმატებაში. ეს სანატორიუმი კომუნისტური შრომის საპატიო სახელს ატარებს და კარგადაა ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

ზედმიწევნით იცის თავის საქმე თინამ. ყველასადმი სამართლიანი და მომთხოვნია, ნიადაგ იმის ცდაშია, ავადმყოფ-დამსვენებლებმა ეფექტურად რომ იმკურნალონ, გაჯანსაღებული დაუბრუნდნენ შრომითი უბნებს. კარგი სამედიცინო მომსახურეობის წყალობით 1967 წელს დამსვენებელთა 94 პროცენტი სანატორიუმიდან გამოჯანსაღებული გაეწერა.

...თინა ყორყოლაძემ 1938 წელს ქუთაისის მეორე საშუალო სკოლა დაამთავრა და ხუთოსნის ატესტატით თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს მიაშურა. ის იყო მეოთხე კურსზე გადავიდა, რომ ომიც დაიწყო. მომავალმა მედიკოსებმა დროებით სწავლა შეწყვიტეს. ვინ ფრონტს მიაშურა, ვინ — ევაკოჰოსპიტლებს. თინა ქუთაისის ერთ-ერთ ევაკოჰოსპიტალში მოხვდა როგორც საოპერაციო და, თავს დასტრიალებდა დაჭრილებს, პირნათლად ასრულებდა ექიმის დანიშნულებას.

ორი წელი და თერთმეტი თვე დაჰყო მან სანიტარულ სამსახურში. ჰოსპიტლის უფროსს მხედველობიდან არ გამორჩენია მედიცინის დის სიბეჯითე და მადლიერების ნიშნად ყოფილ სტუდენტს სამედიცინო ინსტიტუტისაკენ დაულოცა გზა.

1946 წელს ინსტიტუტის სრული კურსი დაასრულა. იმ ხანად წყალტუბოში ექიმების ნაკლებობა იგრძნობოდა. თინაც ცხოვრების საგზურით კურორტში ჩამოვიდა.

სამსახურის დაწყების პირველ დღეებს იგი ასე იგონებს:

— ომის სუსხს წყალტუბოშიც შეეღწია. სანატორიუმის პალატებიდან ჯერ კიდევ მოისმოდა ნაიარევი ჯარისკაცების კვნესა; ირგვლივ მოწყენილობას დაესადგურებინა. საკავშირო პროფსაბჭოს № 1 სანატორიუმში დამნიშნეს ექიმად. სანდომიანი სახის მანდილოსანთან წარმადგინეს. მან ამხედდამხედა, ხელი გამომიწოდა და დედაშვილურად მკერდში ჩამიკრა. განყოფილების გამგე ხუთი შვილის დედა, ცნობილი ექიმი ეკატერინე ჩაჩიბაია აღმოჩნდა. ამ კეთილშობილი ადამიანისაგან ბევრი რამ ვისწავლე...

გავიდა ხანი. ახალბედა ექიმი თავის კოლეგას, ომგადახდილ ვაჟკაცს დარისპან თურმანიძეს გაეცნო, დაუახლოვდა და მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა.

უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რაც თინა ერასტის ასული შვების წყაროთა ქალაქში მოღვაწეობს, მშრომელთა ჯანმრთელობაზე ზრუნავს. ამასთანავე საზოგადოებრივ დავალებებსაც ასრულებს: სანატორიუმის პარტბიუროს მდივანია, ხელმძღვანელობს მოწინავე გამოცდილების შემსწავლელ სკოლას, არის საზოგადოება „ცოდნის“ წყალტუბოს განყოფილების შტატგარეშე ლექტორი; ხშირად გამოდის საინტერესო მოხსენებებით ექიმთა საზოგადოების სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე.

ჯანმრთელობის დაცვის ფრიადოსნის პირად არქივში ნახავთ კეთილსინდისიერი შრომის საზღაურად მიღებულ სიგელებს, მედლებს, მადლობებს.

გვიან ბრუნდება შინ ნაშრომ-ნაჯაფი ექიმი. ცოტას რომ შეისვენებს, საოჯახო საქმეებს მიხედავს, მყუდრო ბინას გამრჯე დიასახლისის ხელს დაატყობს. როცა დედისერთა შვილზე ფიქრები ეწვევა, ვაჟისაგან გამოგზავნილ ბარათს კვლავ გადაიკითხავს, გადაიკითხავს და გული სიამაყით აევსება: ეამაყება მშობელს, რომ თეიმურაზ თურმანიძე თბილისის სამხატვრო აკადემიის წარჩინებული სტუდენტია.

შ. ბენძეხაძე,
წყალტუბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გორელები

თვრამეტი წელია მარიამ ხადური-ხუბულური გორის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს № 2 სამკერვალო საამქროს უფროსია. ამ სამკერვალოში იკერება ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი, ხდება ძველების შეკეთება-გადაკეთება. საამქროში 35 მკერავია. მათი ნახელავი უწუნდებულო, მაღალხარისხოვნად შესრულებული უნდა იყოს, რომ ოსტატმა მარიამ ხადურმა ჩაიბაროს. ის საქმეში მკაცრია, მომთხოვნი. შეკერილს ყურადღებით, გულდასმით გასინჯავს და არავინ იფიქროს, თუნდაც შეუმჩნევლად გამრუდებული ერთი ხაზი გამოეპაროს. თუ მარიამს ნახელავი მოეწონა, მაშინ არც დამკვეთი დაიწუნებს.

საამქროში არ ახსოვთ მარიამი მოთმინებიდან გამოსულიყოს ან უტაქტოდ მოქცეოდა ვინმეს, არც ჰირვეულ და მაჩხუბარა დამკვეთ ქალებთან აუწევს ხმას, არც საზოგადოებაში, არც შინ, შვილებთან, არ ღალატობს ზომიერების გრძნობა. მართალია, შვილები უკვე დიდები რიან, მაგრამ ადრე გარდაცვლილი მამის ალერსი აკლიათ. სული ელევა მარიამს მათი მოსიყვარულებისათვის, თუმცა ამას არასდროს არ აგრძნობინებს ბავშვებს.

თვითონ მას ბავშვობიდანვე დაეჩაგრა გული. მეფის ჟანდარმებმა ცეცხლი წაუკიდეს ბოლშევიკების ოჯახს. მერე მშობლები დაეხოცა. უპატრონოდ დარჩენილ ობლებს მამიდამ მიხედა. შემდეგ უფრო დიდი უბედურება დაატყდა — მოუკვდა ძმები. დარჩა მხოლოდ ერთი ძმა. ძმა სახელმწიფომ გაზარდა, მარიამმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. მალე ომიც დაიწყო. ერთადერთი ძმა ფრონტზე გააცილა. თვითონ აჯამეთში, ბარიტის საბადოებზე მუშაობდა. ხელმძღვანელობდა 500 მუშას და მათთან ერთად ასწორებდა დღესა და ღამეს. შრომით იმხნევებდა თავს. ომი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ მარიამს ძმა ველარ დაუბრუნდა.

დრო ყველაფრის მკურნალია. რამდენიმე წლის შემდეგ მარიამი გორში გათხოვდა. იქ გეოლოგად ვეღარსად იმუშავა, ამიტომ ინჟინერ-ნორმადარად მოეწყო ადგილობრივ მრეწველობაში. მერე ის კომბინატად გადაკეთდა და მარიამი სამკერვალო საამქროს გამგედ დაინიშნა. ასე გამოიცვალა პროფესია.

ახლა მარიამი ისევ საამქროს უფროსია, გეგმებს ასრულებს, საქონლით ამარაგებს საამქროს, ხელფასებს წერს, ისევ პარტიულ კრებაზეა და შინ აგვიანდება...

...დიდი ოქტომბრის ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, გორის უნივერმაღის № 8 მაღაზიის კოლექტივი ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის გორის საქალაქო კომიტეტმა ქების სიგელით დააჯილდოვა. ცხადია, დაჯილდოვდა მისი გამგეც ტასო რატიშვილი.

ამ მაღაზიაში სამი ქალია: გამგე — ტასო რატიშვილი, გამყიდველი — ნინო წიკლაური და მოლარე — მარიამ ჩერქეზიშვილი. მომხმარებელს ისინი ტკბილად, გულლიად ხვდებიან. არ ეზარებათ პასუხის გაცემა, არც ზედმეტ შეკითხვაზე აბუზღუნდებიან, არც „არას" მოგაგებებენ. პირიქით, ხშირად გაიგონებთ — გვაქვს, რატომაც არა გვაქვს. უკმაყოფილო ამ მაღაზიიდან იშვიათად თუ ვინმე წავა. მომხმარებელს საყვედური ნამდვილად არ ეთქმის. მოისურვეთ კაბის, პალტოს, კოსტუმის, ნაქსოვების ან სხვა ნივთის გასინჯვა თუნდაც ათჯერ. სიამოვნებით მოგემსახურებიან, გირჩევენ, შეგირჩევენ. მადლობის გრძნობით ტოვებთ მაღაზიას, ცოტა არ იყოს, გიკვირთ ასეთი თავაზიანობა, უკვე ისე მივეჩვიეთ დახლის მუშაკთა უხეშობას.

საჩივრის წიგნი დამალული როდია, თვალსაჩინო ადგილზე ჰკიდია და შიგ მადლობები წერია — თვით გორის, კასპის, ხაშურის, ცხინვალის და სხვა რაიონებიდან ჩამოსული მომხმარებლებისაგან. მაღაზიაში ყოველთვის ხალხმრავლობაა და კარგად ვაჭრობს, თვიურსა და კვარტალურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს.

ამ პატარა კოლექტივში დიდი ურთიერთნდობა, მეგობრობა და სიყვარულია. როცა კოლექტივი კარგია, იქ ხელმძღვანელია კარგი.

გორში ბავშვმაც კი იცის ჭაღარა, სანდომიანი გარეგნობის მანდილოსანი — დეიდა ტასო. ძველი კომკავშირელი, ყოფილი ქალთა შორის მომუშავე, კულაკების წინააღმდეგ მებრძოლი, სოფლად კოლმეურნეობების ჩამოყალიბების აქტიური მებრძოლი.

1934 წელს პირველად გააგზავნეს ტ. რატიშვილი ვაჭრობის ხაზით სამუშაოდ. სარეწაო არტელების მაღაზიის „ქართლის" გამგედ დაინიშნა. მთელი ომის პერიოდში ეს არტელები ტანსაცმელს კერავდნენ ჯარისკაცებისათვის და ფრონტზე აგზავნიდნენ. მას შემდეგ ტასო რატიშვილი სხვადასხვა მაღაზიების გამგეა.

1928 წელი ბედნიერი იყო მისთვის, იმ წელს მიიღეს სკკპ წევრად და იმავე წელს ჟურნალ „მშრომელი ქალის" ფურცლებზე დაიბეჭდა მოზრდილი სტატია — „საკასრე" ქარხნის ბრიგადირი ტასო რატიშვილი".

შესანიშნავი ქმარ-შვილი ჰყავს: მეუღლე — დავით რატიშვილი პარტიის წევრია 1928 წლიდან და უმწიკვლო მუშაკია, ქალიშვილი — პედაგოგი, ვაჟები — ინჟინრები, შვილიშვილები — ფრიადოსნები. ტასო რატიშვილი საზოგადოებრივ საქმეშიც აქტიური და მისაბაძია.

დიდი ხანია გორში ცხოვრობს ნინო წიკლაური. მოხევეა, მაგრამ ქართლურ კილოზე უქცევს. თბილისის სავაჭრო კოოპერაციული სასწავლებელი დაამთავრა, მუშაობდა ყაზბეგში. ომმა მის ცხოვრებაშიც შეიტანა არეულობა. ფრონტზე დაეღუპა ერთადერთი ძმა და დარჩა ორი მცირეწლოვანი ძმისწული, რომელთაც აღარც დედა ჰყავდათ. მათი აღზრდა ნინომ იკისრა.

მაღაზიის სალაროს ფანჯრიდან შავგვრემანი, ეშხიანი ქალი შემოგხედავთ. მან თითქმის ზეპირად იცის, რა საქონელი აქვთ და რა ღირს. საქონლის ბრუნვისა და დღიურის ნაწერებს ის აკეთებს ჟურნალში. ამიტომ ძალაუნებურად ამახსოვრდება. შარშან, როცა მარიამ ჩერქეზიშვილის ფრიადოსანი ქალ-ვაჟი ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს აბარებდნენ, ტასო და ნინოც დღლავდნენ, ხშირად ანთავისუფლებდნენ მარიამს, ბავშვებისათვის მიეხედნა. ურთიერთნდობა და პატივისცემა სამაგალითოა მათ კოლექტივში.

35 წელიწადია ელენე ჯავახიშვილი ვაჭრობის სისტემაში მუშაობს. ამჟამად ის გორის უნივერმაღის № 2 საგალანტერეო სექციის სექციონერია. ჩამოვთვლით მის ჯილდოებს: 1935 წელს გორვაჭრობის ხელმძღვანელობამ მაჯის საათით დააჯილდოვა, აქვს 4 ქების სიგელი, 1958 წელს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ ვაჭრობის წარჩინებულის ნიშნით დააჯილდოვა. ატარებს საპატიო ნიშნის ორდენს; შარშან მისმა სექციამ ქების სიგელი მიიღო და გარდამავალი დროშა მოიპოვა.

ელენე კარგად იცნობს მომხმარებლის ბუნებას, იცის, ვის როგორი გემოვნება აქვს, ვის რა მოეწონება და რა შესთავაზოს. კულტურული მომსახურებით მომხმარებელთა გულებს ინადირებს და გეგმებსაც გადაჭარბებით ასრულებს.

მან ბევრი ახალგაზრდა მუშაკი გამოზარდა. საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აქტიურია, ორი მოწვევის საქალაქო საბჭოს დეპუტატია.



მარიამ ხადური-ხუბულური (მარჯვნივ) საამქროში



მ. ჩერქეზიშვილი, ნ. წიკლაური და ტ. რატიშვილი.



ელენე ჯავახიშვილი (მარცხნივ)

ბევრი კარგი ქალი ცხოვრობს და შრომობს გორში. მათ სხვადასხვა პროფესია აქვთ, მაგრამ, რომელ უბანზეც არ უნდა მუშაობდნენ, რა თანამდებობაც არ უნდა ეკავოთ, კეთილსინდისიერებითა და პატიოსნებით გამოირჩევიან.

ირმა ჩოფიკაშვილი

# მანქანები ანგარიშობენ

შვიდი წლის წინათ დაარსდა გურჯაანში საანგარიშო-სათვლელი სადგური და მუშაობის მსურველიც ბევრი გამოჩნდა.

განსაკუთრებით ქალიშვილები დაინტერესდნენ ახალი საქმით, მოვიდნენ, ზოგნი უმაღლესი განათლებით, ზოგნი — საშუალო სკოლადამთავრებულნი.

მოანგარიშე-გამომთვლელი მანქანები „ახალი ხილი“ იყო მათთვის, მაგრამ გულმოდგინედ შეუდგნენ სწავლას. გულდასმით უსმენდნენ ინჟინერ რ. ენგიბაროვს ნათელა ბერაია, ნინო მინდორაშვილი, ნათელა ხანიაშვილი, დალი ხუციშვილი, დარიკო მანიჟაშვილი და მალე დაეუფლნენ ოპერატორის სპეციალობას.

მთელი დატვირთვით დაიწყო სადგურმა მუშაობა, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, საწარმო-დაწესებულებებთან დამყარდა კავშირი, მოზღვავდა მასალა. მანქანებზე სწრაფად სრულდებოდა გაანგარიშებანი. ნაკლები იყო ხარჯები.

გავიდა წლები, გამარჯვების სიხარულით სავსე და მღელვარე. ზოგჯერ სიძნელეებიც ჰქონდა კოლექტივს, ცალკეული ოპერატორები ჩამორჩებოდნენ შრომაში. მაგრამ მოწინავეები ეხმარებოდნენ, ასწავლიდნენ, რჩევას არ აკლებდნენ.

1966 წლის დამდეგს სადგურს გულნარა ჩეკურიშვილი ჩაუდგა სათავეში. ემათ ქალიშვილებს, გულნარას კარგად იცნობდნენ. მასზე ხშირად იწერებოდა პრესაში, როგორც ველისციხის კოლმეურნეობის მოწინავე აგრონომზე, გურჯაანის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს აგროქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელზე.

იმ წელს შრომითი წარმატებებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ გ. ნაცვლიშვილი, რ. ენგიბაროვი, ნ. ბერაია და ნ. მინდორაშვილი. მთავრობის ჯილდო, მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ გადაეცა ოპერატორ დარიკო მანიჟაშვილს, უფროს ოპერატორებს ნათელა ბერაიას, ნინო მინდორაშვილს და დარიკო მანიჟაშვილს მიენიჭათ კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება.

შარშან ახალი გამომთვლელი მანქანები დამონტაჟდა სადგურში, გაიზარდა გეგმა და ოპერატორების სამუშაოც გადიდდა.

მათ საიუბილეო წლის გეგმა 105 პროცენტით შეასრულეს. სახელმწიფოს 555 მანეთის ზეგეგმითი მოგება მისცეს. არ ყოფილა მანქანების მოცდენა-დაზიანების შემთხვევა.

როცა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდა, რესპუბლიკაში ამ ტიპის 26 საანგარიშო სადგურიდან პირველ ადგილზე გურჯაანელები გამოვიდნენ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გარდამავალი დროშაც მათ გადაეცათ.

სადგურში ამჟამად 17 სხვადასხვა სახის გამომთვლელი და 10 შემაჯამებელი მანქანა მუშაობს. ყოველდღიურ ნორმას 110-125 პროცენტით ასრულებენ. სადგურის მუშაკები გურჯაანის რაიონის გარდა ყვარლის რაიონის ზოგიერთ ობიექტსაც ემსახურებიან.

საანგარიშო-სათვლელი სადგურის სიახლეა კომპლექსური მექანიზაცია. ჯერჯერობით მუკუზნის საბჭოთა მეურნეობისა და ვაზისუბნის კოლმეურნეობების მასალებს დაამუშავებენ კომპლექსურად, მომავალში კი მუშაობა უფრო გაფართოვდება.

ო. გოჩელაშვილი



ვ. მაძალუა

## საუბარი მრგვალი მაგიდის ირგვლივ

# გავამრავლოთ ფუტკარი!

თაფლი ძველთაგანვე მიაჩნდათ ჯანმრთელობის, ხანგრძლივი სიცოცხლისა და კეთილდღეობის წყაროდ. ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანი ხის ფუღუროებსა და კლდის ნაპრალებში დაეძებდა მას და საზრდოდ იყენებდა. ამას თვალნათლივ ადასტურებს არქეოლოგიური გათხრები. თაფლი, გარდა იმისა, რომ უძვირფასესი საკვები პროდუქტია, სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებაცაა. იგი შეიცავს სამოცამდე სხვადასხვა ნივთიერებას, ზრდის ჰემოგლობინის რაოდენობას სისხლში და აუმჯობესებს ორგანიზმის საერთო მდგომარეობას. განსაკუთრებით სასარგებლოა თაფლი ბავშვებისათვის.

საქართველოში ფუტკარი საღვთო მწერად ითვლებოდა. წელიწადში ერთი დღე ფუტკრისთვის იყო განკუთვნილი. იმ დღეს აკრძალული იყო სხვა სახის საქმიანობა. მამაკაცები მხოლოდ სკებს აკეთებდნენ. იმ დღეს არც ფუტკრისა და არც თაფლის გ- ცემა არ შეიძლებოდა. შეხვედრისას ად- მიანები ფუტკრის გამრავლებას უსურვე- დნენ ერთმანეთს.

მეფუტკრეობას ქართველები უხსოვარ- დროიდან მისდევდნენ. ამის ყველაზე ად- რინდელი ოფიციალური წყარო ქსენოფონ- ტეს „ანაბაზისია“. სოკრატეს მოწაფე, ბერ- ძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე გადმო- გვცემს, რომ ტრაპეზუნდის მახლობლად კოლხების ერთ-ერთ სოფელში 10.000 ბერ- ძენი მეომარი მოიწამლა მათრობელა თაფ- ლითო. აქედან ჩანს, რომ მეფუტკრეობა საქართველოში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში ყოფილა განვითარებული.



ი. რაზმაძე

ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის ცნობით, პომპეუსის შემოსევის დროს კოლხებს ემაკობა უხმარიათ, გზაზე, სადაც პომპეუსის ჯარს უნდა გაევლო, მათრობელა თაფლით სავსე ჯამები დაუდგამთ, რომაელი ჯარისკაცები თაფლით გაბრუებულან და კოლხებთან ბრძოლაში დამარცხებულან.

მეფუტკრეობამ, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთმა დარგმა, მნიშვნელოვან განვითარებას საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიაღწია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1961 წელს ერფურტში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), მებაღეობის საერთაშორისო გამოფენაზე ქართულმა ფუტკარმა ოქროს დიდი მედალი დაისაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა. ქართულმა ფუტკარმა, არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად, ყველაზე მეტი თაფლი შეაგროვა და დიდად გააოცა მსოფლიოში მანამდე საუკეთესოდ აღიარებული იტალიური ფუტკრის მეპატრონეები.

1965 წელს კი ბუქარესტში (რუმინეთის დემოკრატიული რესპუბლიკა) გამართულ მეფუტკრეობის საერთაშორისო XX საიუბილეო კონგრესზე ქართულმა ფუტკარმა მეორედ მოიპოვა დიდი ოქროს მედალი.

ცხადია, ქართულმა ფუტკარმა მსოფლიოში დიდი ინტერესი გამოიწვია. ამით დაინტერესდა ჩვენი რედაქცია და მრგვალი მაგიდის ირგვლივ მოვიწვიეთ მეფუტკრეობით დაინტერესებული პირები.

**ჩვენი საუბარი შეეხო საქართველოში მეფუტკრეობის განვითარებას, მის პერსპექტივებს, თაფლისა და აგრეთვე ფუტკრის სხვა პროდუქტების — ცვილის, ფუტკრის რძის, ფუტკრის შხამის, დინდგლის სარგებლიანობასა და გამოყენებას სახალხო მეურნეობაში, ადამიანის ჯანმრთელობის საქმეში, ჩვენს კარ-მიდამოებში ფუტკრის მოშენებას.**

**პირველად სიტყვა ითხოვა მეფუტკრეობის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვარლამ ბაძღუამ.**

1949 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მეფუტკრეობაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საწარმოებლად დაარსდა მეფუტკრეობის საცდელი სადგური თავისი განყოფილებებითა და საყრდენი პუნქტებით. არსებობს აგრეთვე მეფუტკრეობის რესპუბლიკური სამმართველო და 7 სახელმწიფო საჯიშე, რომელთაც ქართული ფუტკრის მოშენება ევალება. ეს საჯიშეები მუხურში, სოხუმში, ხარაგოულში, სიღნაღში, ყვარელში, სამტრედიასა და სამგორში.

ხაშურში არის მეფუტკრეობის ერთწლიანი სკოლა, რომელიც ამზადებს კადრებს. მეფუტკრე ინსპექტორ-ზოოტექნიკოსებს უშვებს აგრეთვე ორი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი (წინამძღვრიანთკარისა და ბაკურციხისა), საქართველოში მეფუტკრეობის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში გაიხსნას მეფუტკრეობის ფაკულტეტი.

ქართული ფუტკრის უპირატესობა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გახდა ცნობილი. ქართული ფუტკარი ბევრად განსხვავდება ფუტკრის სხვა ჯიშებისაგან. იგი უფრო გრძელხორთუმიანია, შრომისმოყვარეა, მაღალპროდუქტიულია, თვინიერია, აქვს ზომიერი ნაყრიანობა და ნექტარის მონახვის დიდი უნარი არახელსაყრელი ამინდის პირობებშიც.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოში უკეთესი პირობებია დედებისა და ამანათ-ნაყრების გამოსაყვანად, ვიდრე თაფლის მოსაცემად. ამიტომაც ჩვენს რესპუბლიკას მიეცა დავალება — საფუტკრეები ვამუშაოთ არა თაფლსა და ცვილზე, არამედ დედებსა და ამანათ-ნაყარზე. საქართველო ქართული ფუტკრის საჯიშედ გამოცხადდა.

ქართული ფუტკრის დედებსა და ამანათნაყრებზე დიდი მოთხოვნილებაა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. მას იყენებენ როგორც ხალასად მოშენების მიზნით, აგრეთვე ადგილობრივი ჯიშის ფუტკრის ზოგიერთი თვისებების გასაუმჯობესებლად. ეს იმიტომ, რომ ქართული ფუტკარი იქ უფრო მეტ თაფლს ამზადებს, ვიდრე ადგილობრივი ჯიშისა.

მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში შეხვდებით ქართულ ფუტკარს. ესენია: ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია, კუბა, ინგლისი, არგენტინა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ინდოეთი, მაროკო, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ლიბანი, ცეილონი, მარტინიკი და მრავალი სხვა.

**შეკითხვაზე, თუ როგორია საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების პერსპექტივები, ვ. ბაძღუამ შემდეგი პასუხი გასცა:**

— სოფლის მეურნეობაში ყველაზე რთული მეფუტკრეობა, მეფუტკრეობაში კი — დედის გამოყვანა. დედების გამოყვანაზე ამჟამად 7 საჯიშე მუშაობს. შარშან მათ 40-50 ათასი დედა უნდა გამოეყვანათ. ყველა საჯიშემ ვერ შეძლო დავალების შესრულება. დედების გამოყვანის სახელმწიფო გეგმა მუხურისა და სოხუმის საჯიშეების ხარჯზე შესრულდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საჯიშეები ყველაზე მოწინავეა რესპუბლიკაში. მუხურში შესანიშნავი მეფუტკრე რაისა ანთია მუშაობს. სოხუმში — ლიდა გასვიანი წარმატებას წარმატებაზე აღწევს. 7 საჯიშედან უცხოეთის ქვეყნებში ფუტკრის დედებს და ამანათ-ნაყრებს მხოლოდ მუხური აგზავნის. ამიტომ მისი სახელი მსოფლიოშია ცნობილი.

მაგრამ მეფუტკრეობაში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი. ყველა მეურნეობას არ გააჩნია საჭირო ინვენტარი. ფუტკარი ყველგან არ არის გადაყვანილი კულტურულ მდგომარეობაში. ამ ნაკლის გამოსასწორებლად 1961 წელს აშენდა ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც უშვებს სათანადო ინვენტარს. ქარხანა ამჟამად გაფართოების პროცესშია, მშენებლობა, სამწუხაროდ, ნელი ტემპით მიმდინარეობს.

საჯიშე მეურნეობების უკეთ მოსაწყობად მშენებლობები ფართოდაა გაშლილი მუხურში, სამგორში და სხვაგან. მათი განხორციელება ხელს შეუწყობს იმ დიდი ამოცანების გადაჭრას, რაც საქართველოს მეფუტკრეებს ეკისრებათ.

**საუბარში ჩაება სამმართველოს მთავარი ზოოტექნიკოსი ირაკლი რაზმაძე:**

— მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თაფლოვან მცენარეთა სიუხვით ხასიათდება, იგი მაინც ყველაზე მცირე თაფლის გამოსავლიან ქვეყნად ითვლება. ეს დაკავშირებულია ყვავილის აღნაგობასთან და მის ფიზოლოგიურ თვისებებთან, რასაც განაპირობებს საქართველოს კლიმატური პირობების თავისებურებანი — ხშირი გვალვები, ქარები, ზედმეტი ნალექები ღალიანობის პერიოდში. ყველაფერი ეს ამცირებს თაფლოვან მცენარის ყვავილში ნექტარის გამოყოფას და ხელს უშლის ფუტკარს მაქსიმალურად აითვისოს იგი. ხდება ისე, რომ ერთიდაიგივე მცენარეები ციმბირის მხარეში 2-3-ჯერ მეტ ნექტარს იძლევიან, ვიდრე ჩვენში. ამიტომ საბჭოთა კავშირი დაიყო ზონებად: სამხრეთ რაიონებს დაევალათ ფუტკრის მომრავლება, ჩრდილო რაიონებს — თაფლის მოცემა. სწორედ ამის საფუძველზე შეიქმნა საქართველოში საჯიშეები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მართალია, საქართველოში ფუტკარი მცირე რაოდენობით იძლევა თაფლს, მაგრამ ეს თაფლი ხარისხით საუკეთესოა, ბევრად სჯობს სხვა რესპუბლიკებისას. ამის მიზეზი ისაა, რომ ჩვენში ფუტკარი იძულებულია ბევრი ყვავილი მოიაროს, რომ ნექტარი შეაგროვოს, ამიტომაც თაფლის ხარისხი უკეთესია.



**რ. ბებიაშვილი**

106875

ზოოტექნიკოსი-სელექციონერი რ უ ს უ დ ა ნ ბ ე ბ ი ა შ ვ ი ლ ი შეეხო სასელექციო მუშაობას რესპუბლიკაში, კერძოდ ქართული ფუტკრის ჯიშის შენარჩუნების საკითხს. მან ილაპარაკა დედა-ფუტკრის გამოყვანის შესახებ და აღნიშნა:

— 1967 წელს რესპუბლიკაში 33 ათასი დედა-ფუტკარი უნდა გამოეყვანათ. ეს იყო ძალიან რთული ამოცანა. ასევე დიდი იყო ამანათ-ნაყრების გამოყვანის გეგმა. საქართველოს მეფუტკრეობის სახიშე მეურნეობებმა ეს ამოცანები შეასრულეს. შარშან მარტო საზღვარგარეთ 400 დედა-ფუტკარი გაიგზავნა. წელსაც გაიგზავნება 400 დედა-ფუტკარი და 100 ამანათ-ნაყარი. თუმცა მოსალოდნელია ეს შეკვეთები კიდევ გაიზარდოს. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ეკუთვნით ქართველ სელექციონერებს რაისა ანთიას (მუხურიდან) და ლიდა გასვიანს (სოხუმიდან). მუხურის სახიშე მეურნეობამ 12 ათასი დედა-ფუტკარის ნაცვლად 15.600 დედა-ფუტკარი გამოიყვანა. სოხუმის სახიშემაც გადაჭარბებით შეასრულა გეგმა — 13 ათასი დედა-ფუტკრის ნაცვლად 15.521 დედა-ფუტკარი გამოიყვანა.

ჩვენი სელექციონერები ოჯახის განახლების მიზნით ახდენენ აგრეთვე ძველი დედების ახლებით შეცვლას.

უფროსმა ვეტექიმმა ლ ი ლ ი ა დ ა მ ო ვ ა მ ილაპარაკა იმ ინფექციურ დაავადებებზე, რომელთა თავიდან ასაცილებლადაც ყოველ გაზაფხულზე ტარდება პროფილაქტიკა. ჩამოთვალა მედიკამენტები, რომლებსაც აძლევენ დაავადებულ დედას სიროფთან ერთად. აღნიშნა, რომ დაავადების შემთხვევაში ხდება ახალი დედის გამოყვანა, ილაპარაკა ფუტკრების დაავადების შემთხვევაში მათი იზოლირებისა და მკურნალობის საკითხებზე.

საინტერესო იყო მოხალისე მეფუტკრის ი ო ს ე ბ ბ ე რ ე ჟ ი ა ნ ი ს გამოსვლა. იგი პროფესიით პედაგოგია, მაგრამ ბავშვობიდან იცნობს მეფუტკრეობას. მისი მამა-პაპანი მემკვიდრეობით გადასცემენ ერთმანეთს ამ საქმიანობას. იოსებმაც არ უღალატა წინაპრებს. მან გურიიდან ფუტკრის ერთი ოჯახი ჩამოიყვანა და გაამრავლა. დღეს 21 ოჯახი ჰყავს, საიდანაც ყოველ წლიურად 400 კილოგრამი თაფლი მიიღო. აი, რა თქვა მოხალისე მეფუტკრემ:

— ვერ წარმომიდგენია უფუტკრო ეზო. ქალაქის პირობებშიც კი, ვისაც თუნდ პატარა ეზო აქვს, ყველას შესანიშნავად შეუძლია ხელი მიჰკიდოს მეფუტკრეობას. ეს სულაც არ არის ძნელი. ამჟამად ფუტკრის მოვლა შემოსავლიანიც არის და ჯანმრთელობისათვის სასარგებლოც. თუ ადამიანს რევმატიზმი ან რადიკულიტი აწუხებს, ფუტკართან ურთიერთობა, მისი მოვლა უეჭველად განკურნავს. ამასთან მას ოჯახში ყოველთვის ექნება ორგანიზმისათვის ესოდენ სასარგებლო პროდუქტი — ნამდვილი თაფლი. მე პირადად ჩემს რვა ამხანაგს შევაყვარე ეს საქმე და ისინიც მეფუტკრეები გავხადე. კარგი იქნება, თუ ჩამოყალიბდება ფუტკრისმოყვარულთა ამხანაგობა, რაც, ჩემი აზრით, ხელს შეუწყობს ინდივიდუალური მეფუტკრეობის განვითარებას.

სიტყვაში გამოსულებმა ერთხმად აღნიშნეს მუხურის სახიშე მეურნეობის მეფუტკრის რ ა ი ს ა ა ნ თ ი ა ს დამსახურება. ამიტომ ყველასათვის სასიამოვნო იყო თვით რაისა ანთიას საუბარი.

აი, რა გვიამბო რაისამ თავის მუშაობაზე:

— როცა მომთაბარეობას ვიწყებთ, სადგომად ასაწყობი სახლი მიგვაქვს. მეურნეობაში სულ 16 ბრიგადაა, ჩემი ბრიგადა სამკაციანია. სადგომად ხელსაყრელ ადგილს ვარჩევთ. ჩვენ ხომ ძალიან დიდი საქმე — დედა-ფუტკრის გამოყვანა გვაკისრია. ამ საქმეს ძალიან დიდი სიზუსტე, მუყაითობა და მონდომება სჭირდება. საზღვარგარეთ მხოლოდ ჩვენგან იგზავნება დედა-ფუტკრები. ჩვენგან ეგზავნება დედა-ფუტკარი აგრეთვე მეფუტკრეობის დიდ მოყვარულს, ცნობილ მწერალს ბორის პოლევოის. და რამდენი მადლობა მოგვდის! ამას წინათ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მივიღეთ მადლობის წერილი. რუსეთიდან კი მოგვწერეს, თქვენგან გამოგზავნილმა ქართული ფუტკრის ერთმა ოჯახმა 120 კილოგრამი თაფლი დააგროვაო.

— წლევანდელ გეგმაზე რას გვეტყვით? — ჰკითხეს რაისას.

— შარშან 1.400 დედა-ფუტკრის ნაცვლად, 3.200 დედა-ფუტკარი გამოვიყვანე. წელსაც 1.400 დედა-ფუტკრის გამოყვანა მევალება. ვფიქრობ, რომ გეგმას კვლავ გადავამეტებ.

რაისა აღფრთოვანებულია იმით, რომ მუხურელებისათვის სახიშე მეურნეობის ინიციატივით შენდება აბანო, გაჰყავთ წყალსადენი, აშენდა 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. მეურნეობის მუშაკთა ბეჯითი შრომის საპასუხოდ უმჯობესდება სოფლის მშრომელთა საცხოვრებელი პირობები.



ლ. ადამოვა



ი. ბერეჟიანი



რ. ანთია



ზ. მაჯაშვილი



თ. სულაქველიძე

**სამგორის საჯიშეს დირექტორი ვასილ გედევანიშვილი სწორედ სამშენებლო სამუშაოებს შეეხო:**

— სამგორის მეფუტკრეობის საჯიშე მეურნეობა 1960 წელს ჩამოყალიბდა. მისი საკვები ბაზაა გარდაბნის ნაკრძალთან. საფუტკრეებისათვის გამოიყო 8,5 ჰექტარი სავარგული ფართობი. 6 ჰექტარი აკაციების ტყეა. საჯიშემ დიდი მშენებლობა გააჩაღა. 8 ჰექტარზე ხეხილის ბაღი გააშენა ზაჰესთან, მოწყობილი გვაქვს ქარსაცავი ზოლი, 3 ჰექტარზე თაფლოვანი მცენარეები ხარობენ. ავამუშავეთ წყალსაქაჩი. ყველა ბრიგადისათვის აშენდება ოროთახიანი ბინა, მიმდინარე წელს დაიწყება 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

**საუბარში დიდი გამოცოცხლება შეიტანა მეფუტკრეობის საცდელი სადგურის სწავლული მდივნის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ზურაბ მაყაშვილის გამოსვლამ. მან ილაპარაკა იმ პროდუქტების მნიშვნელობაზე, რომლებსაც ფუტკარი გვაძლევს. ესენია: თაფლი, ცვილი, ფუტკრის შხამი, ყვავილის მტვერი, დინდგელი და ფუტკრის რძე.**

— მიუხედავად იმისა, რომ თაფლი უძველესი დროიდანაა ცნობილი, მისი სამკურნალო თვისებების დადგენა ახალი საქმეა. მისი მოქმედების მექანიზმის დადგენაზე მეცნიერები დღესაც მუშაობენ. გამორკვეულია, რომ მას აქვს ანტიბაქტერიული, ანტიმიკროლოგიური თვისებები, ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას, ახდენს სისხლის წნევის ნორმალიზებას და ვინაიდან შეიცავს ე. წ. მიკროელემენტებს, რომლებიც მონაწილეობენ საჭმლის მონელების პროცესში, კარგად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის სისტემაზე და აგრეთვე თირკმელებზე. განსაკუთრებით საჭიროა თაფლი ბავშვებისა და ფიზიკურად სუსტი ადამიანებისათვის. დადგინდა, რომ თაფლი ხელს უწყობს ორგანიზმის უჯრედების მემბრანების განვლადობას და ამით ყოველგვარი პროდუქტი ადვილად შეითვისება. ფუტკრის ცვილს დიდი რაოდენობით იყენებენ მრეწველობაში. შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი ისეთი პროდუქტები, როგორიცაა შხამი, ყვავილის მტვერი, დინდგელი და ფუტკრის რძე.

ფუტკრის შხამი მთელი რიგი დაავადებების უებარი საშუალებაა. ასეთია რევმატიზმი, პოლიარტრიტი და სხვა. შემუშავებულია ახალი მეთოდები ფუტკრის შხამის მისაღებად. ამჟამად ცნობილია მრავალნაირი მედიკამენტები, რომელთა აქტიური საწყისია შხამი.

დინდგელი ძველი დროიდანაა ცნობილი. იგი მხოლოდ უკანასკნელ ხანს გახდა მეცნიერული შესწავლის ობიექტი. დამტკიცდა, რომ მას აქვს ძირითადად ორი შესანიშნავი თვისება: 1) ანტიბაქტერიული, 2) ტკივილების გამაყუჩებელი. დინდგელს იყენებენ კანის ზოგიერთი დაავადების დროს (ეგზემა), იგი მომაკვდინებლად მოქმედებს ტუბერკულოზის აღმძვრელ კოხის ჩხირებზე, ხელს უწყობს განუვითარებელი ცხოველების სწრაფ განვითარებას (ხბოები, გოჭები) წარმატებით იხმარება თანამედროვე ვეტერინარიაში ზოგიერთი დაავადების წინააღმდეგ (თურქული, ნეკრობაცილოზი და სხვა).

ბოლო დროს დინდგელმა სტომატოლოგიაშიც ჰპოვა გამოყენება. გარდა ანტიბაქტერიული მოქმედებისა, იგი ტკივილის გამაყუჩებელიცაა.

ყვავილის მტვერი სრულიად არ არის დანერგილი მედიცინაში. საფრანგეთსა და იტალიაში მას იყენებენ საკვებად, დიეტურ ნამცხვრებში. იგი არაჩვეულებრივად მდიდარია იმ აქტიური კომპონენტებით, რომლებიც საჭიროა ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლისათვის (ვიტამინები, ამინომჟავები. ფერმენტები, მიკროელემენტები და ბევრი სხვა). ყვავილის მტვერს იყენებენ კუჭ-ნაწლავის მუშაობის დარღვევის დროს, კერძოდ, ქრონიკული ყაბზობისა და კუჭის ქრონიკული აშლილობის შემთხვევაში. უკანასკნელ დროს ყვავილის მტვერში აღმოაჩინეს რუტინი, რომელიც ხელს უშლის სისხლის ჩაქცევას ტვინში.

ფუტკრის რძე იხმარება ასეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორიცაა გულსისხლძარღვთა დაავადება, სტენოკარდია, ჰიპოტროფია, სიბერესთან დაკავშირებული მოვლენები — მოთენთილობა, უმადობა, სისხლნაკლებობა, საერთო სისუსტე.

ფუტკრის მტვერი და ფუტკრის რძე გამოყენებულია აგრეთვე კოსმეტიკური საშუალებების დასამზადებლად.

**რედაქციაში გამართულ საუბარს ესწრებოდა ექიმი-კულინარი თამარ სულაქველიძე. მან ილაპარაკა თაფლზე, როგორც ადამიანის ორგანიზმისათვის მეტად სასარგებლო პროდუქტზე, აღნიშნა, რომ კარგი იქნება მოზრდილმა ადამიანმა დღეში მიიღოს 150 გრამამდე თაფლი, ბავშვმა კი — 100 გრამამდე. კარგია თაფლი კუჭის დაავადების დროს. კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობის შემთხვევაში ხმარობენ თაფლის ცივწყალხსნარს (1-2 კოვზი ერთ ჩაის ჭიქა წყალზე). მაღალი მჟავიანობისას იხმარება იგივე კონცენტრაციის თბილი თაფლწყალი. კულინარიაში თაფლის გამოყენების შესახებ თამარ სულაქველიძემ გვითხრა:**

— თაფლი წარმატებით გამოიყენება ყოველგვარ წვენებში შაქრის მაგივრად, აგრეთვე სხვადასხვა სასმელების დასამზადებლად. კარგია ასკილის ნაყენის მომზადება თაფლით. ასევე შეიძლება ბოსტნეულის სალათების მომზადებისას შაქრის მაგივრად თაფლის გამოყენება.

**საუბარი მრგვალი მაგიდის ირგვლივ საინტერესოდ და შინაარსიანად ჩატარდა. იმედია, ჩვენი საზოგადოებრიობა დაინტერესდება მეფუტკრეობით და ქართული ფუტკარი ყველა ეზოში დაბინავდება.**

**საუბარს ხელმძღვანელობდა ლია კაკაბაძე**

გიორგი გიგაური

## შუქი მთაში

არაგვის არხზე აღმართეს ჰესი,
შუქმა შემოსა მაღალი მთები,
ღამე ქარაფზე დაიმსხვრა კვნესით,
სხივთა მაკრატლით მოიჭრა თმები.

ელავს სოფელი ათასფერებად,
სახლს მისცემია სულ სხვა იერი.
დედა ილიჩის მზეს ეფერება,
ალერსიანი და ბედნიერი.

ჭარმაგი მამა კითხულობს გაზეთს,
გულით ადიდებს ოქტომბრის ნათელს,
მშვიდობის გზაზე,
სიცოცხლის გზაზე,
მზისკენ მიფრინავს არწივის მართვე.

სიბნელე ხევებს გაეკრა ხვნეშით,
დასცილდა სოფლის გარეშემოსა,
რაც ააშენეს არაგვზე ჰესი,
როგორ გაბედავს სახლში შემოსვლას.

ნოდარ ჯალაღონია

## სიყვარული

**ნინა ივანცოვას**

„მუდამ იმღერე, მეგობარო, ბრძოლის
სიმღერა,
გულს ნუ გაიტეხ, დარდს და სევდას
ნუ მიიკარებ“.

**ოლეგ კოშევოის ლექსიდან**

ეგ შენი გული ბარტყივით ზრდიდა
ოცნებებსა და იმედებს ხვალის.
ახლა კი უმზერ დაბინდულ გზიდან
სიყვარულს —
ომით გასრესილ ყვავილს.
სუსხმა წაიღო აპრილის თვეში
შენი ოცნება და ტკბილი განცდა.
ის ყაყაჩოებს გაწნავდა თმებში,
ეს სითეთრე კი საიდან გაჩნდა.
თუმცა შენს სევდას, დარდსა და ტკივილს
ყველაზე უფრო ცრემლები შვენის,
ნუ დაინანებ, ძვირფასო, ღიმილს,
რადგან ღიმილი უყვარდა შენი.
ვიცი, ძნელია, ძნელი და გიჭირს,
გაყინულ გულს რომ მოსთხოვო სითბო,
მაგრამ კვარცხლბეკზე შემდგარი ბიჭი
შენი თვალების სიხარულს ითხოვს.
როცა ტკივილი ჩააღწევს სულთან,
ტკივილს ხანდახან სიმღერაც შველის,
იმღერე, რადგან მას ასე სურდა,
რადგან უყვარდა სიმღერა შენი.
ჰყვაოდა შენი ვარდი და იაც,
ოცნებისა და სიზმრების იქით,
მაგრამ ჯალათის ნასროლმა ტყვიამ
ჩიტივით მოკლა ლამაზი ფიქრიც.
თეთრი კაბა და პერანგი მოვის
სისხლის მდინარემ წაიღო ზღვისკენ,
დე, სიყვარულის საფლავი —
ომი,
ნუ დააშინებს მიჯნურებს ისევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეცნიერების სამყაროში

*ჟურნალი ხსნის ახალ განყოფილებას „მეცნიერების სამყაროში". განყოფილებაში, შეძლებისდაგვარად გაშუქდება მსოფლიო, საბჭოთა და ქართველ მეცნიერთა წარმატებები. რედაქციის კოლექტივს სწამს, რომ ბევრი მეცნიერი მოისურვებს გაუზიაროს „საქართველოს ქალის" მკითხველებს თავისი მიღწევები.*

*განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი სერგო დურმიშიძე.*

*ვისარგებლეთ შემთხვევით და პირველი ინტერვიუ სწორედ მისგან მივიღეთ.*

# მეცნიერება სიცოცხლის შესახებ

პატარა სარედაქციო წერილში, რომელიც გათვალისწინებულია ფართო მკითხველისათვის, რა თქმა უნდა, ძნელია ილაპარაკო იმ დიდ მიღწევებზე, პრობლემებსა და პერსპექტივებზე, რაც აქვს ბიოლოგიას, როგორც მეცნიერებას.

მეცნიერებისა და ტექნიკის ამ ბობოქარი გაფურჩქვნის საუკუნეში, რომლის ყოველ წელს კაცობრიობისათვის სულ ახალ-ახალი სასწაულები მოაქვს. ძნელია რითიმე გააკვირვო ვინმე, მაგრამ ბუნებისა და მატერიის ყველაზე დიდ სასწაულად მაინც ცოცხალი არსება და პირველ რიგში კი ადამიანი რჩება.

სწორედ ადამიანის, ცხოველების, მცენარეთა და მიკროორგანიზმების სიცოცხლეს შეისწავლის ბიოლოგია — მეცნიერება სიცოცხლის შესახებ.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი სამართლიანად ითვლება ბიოლოგიურ ერად. ფართოდ დაინერგა რა მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის თანამედროვე მიღწევები, ბიოლოგია აღწერილობით მეცნიერებიდან იქცა ზუსტ მეცნიერებად. ბიოლოგიურ პრობლემათა გადაწყვეტაში უდიდეს როლს ასრულებს ისეთი დისციპლინები, როგორიცაა ბიოქიმია, ბიოფიზიკა, ციტოლოგია, ბიოქიმიური გენეტიკა და სხვ.

ამ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ბიოლოგიამ ჭეშმარიტად გიგანტური ნაბიჯები გადადგა, წარმატებით გადაიჭრა მრავალი პრობლემა: დადგენილ იქნა მემკვიდრეობის ბიოქიმიური საფუძვლები, გაირკვა ცილის ქიმიური ბუნება და მისი სინთეზის მექანიზმი, შესწავლილია ორგანიზმში სხვადასხვა ნივთიერებათა გარდაქმნის გზები, გამოვლინდა მჭიდრო ურთიერთკავშირი სტრუქტურასა და ფუნქციას შორის, ინტენსიურად ისწავლება ფერმენტების მოქმედების მექანიზმი და სხვ.

აი ამ დიდ მიღწევათა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ცილის ბიოსინთეზის ურთულესი პრობლემების თითქმის ძირითადი გადაწყვეტა. ცილის ბიოსინთეზის მექანიზმი, რომელიც ამ პროცესის ინტიმურ მხარეს წარმოადგენს, უმთავრეს კონტურებში უკვე გაშიფრულია.

ადამიანი ბუნების საიდუმლოებას იმიტომ სწავლობს, რომ საშუალება მიეცეს თავის ნებაზე მართოს იგი. გვეცოდინება რა ცილის სინთეზის საიდუმლოება, საშუალება მოგვეცემა შეგნებულად ჩავერიოთ ამ პროცესის რეგულირებაში და ისე წარვმართოთ იგი, როგორც ეს ჩვენთვის იქნება ხელსაყრელი. კაცობრიობის ვერაგი მტრის — კიბოს წარმოქმნაც ხომ ცილის სინთეზებთანაა დაკავშირებული. ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, წრეგადასული, აღვირახსნილი სინთეზი, რომლის დასაწყისშივე დათრგუნვა კიბოს საბოლოოდ დაამარცხებდა. რამდენი ათეული ნივთიერების სინთეზი არსებობს, რომლის დროზე რეგულირება ადამიანს საჭსებით გააჯანსაღებდა, სიცოცხლეს გაუხანგრძლივებდა.

ჯერ კიდევ ენგელსი მიგვითითებდა, სიცოცხლე ცილოვან ნივთიერებათა არსებობის უმაღლესი ფორმააო.

ყველა ნივთიერებას შორის ყველაზე მეტად სიცოცხლის თვისებათა მატარებელი ცილაა. როგორც ცნობილია, ცილა 20 სხვადასხვა „აგურისაგან" — ამინომჟავისაგანაა აშენებული. ყოველი ამინომჟავა შეიცავს ნახშირბადს, ჟანგბადს, წყალბადსა და აზოტს. ისევე, როგორც ყოველი ფრაზა შედგება სიტყვებისაგან, ხოლო სიტყვები კი ასოებისაგან, ცილაც წარმოადგენს ამინომჟავებისაგან შემდგარ ფრაზებს. ცილები წარმოადგენენ ცოცხალი ორგანიზმის ძირითად კომპონენტს, ყველა სასიცოცხლო პროცესის მიმდინარეობა და კონტროლი მათთანაა დაკავშირებული.

ცოცხალი უჯრედი თავისი ორგანიზაციითა და შემადგენლობით ურთულესია. ამბობენ, იგი უფრო რთულია, ვიდრე თვით სამყაროს აგებულებაო. ხშირად, თვალით უხილავ ამ პატარა სამეფოში, უჯრედში, ერთდროულად მიმდინარეობს რამდენიმე ასეული რეაქცია და, უჯრედის ყველა უბნის ნივთიერებათა ცვლა ისეა ერთმანეთთან შეთანხმებული, რომ მთელი სიცოცხლე უჯრედისა თვითმარეგულირებელ პროცესს წარმოადგენს.

უჯრედის უმთავრესი შემადგენელი ნაწილებია: ცილები, ნახშირწყლები, ცხიმები, მინერალური ნივთიერებანი და სხვა, მაგრამ თავისი მოქმედების ხასიათით და მნიშვნელობით უჯრედის ბიოლოგიურად ყველაზე აქტიურ ნაერთებს ფერმენტები წარმოადგენენ. ფერმენტი კი არის ბიოლოგიური კატალიზატორი.

უჯრედში ნივთიერებათა ყველა გარდაქმნა უდიდესი სისწრაფით მიმდინარეობს. სიცოცხლის ეს მეტად არსებითი მხარე გაპირობებულია ფერმენტების არსებობით. უჯრედში მრავალი ფერმენტი არსებობს. ფერმენტი ცილოვანი ნივთიერებაა. ცილას მრავალი ფუნქცია აქვს დაკისრებული. იგი უჯრედის სტრუქტურის შექმნაშიც მონაწილეობს და თითონვე წარმოადგენს ბიოქიმიურ გარდაქმნათა გამომწვევ მიზეზს. უჯრედში ნივთიერებათა მუდმივი შენება და ნგრევაა. დაშლასა და სინთეზს შორის გარკვეული ურთიერთობაა დამყარებული. ნივთიერებათა დაშლა აუცილებელია, რათა ცოცხალმა უჯრედმა მიიღოს, ერთი მხრივ, მისთვის საჭირო ენერგია და, მეორე მხრივ, საშენი მასალა, რისგანაც უჯრედის სხვადასხვა ნაწილი უნდა შეიქმნას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც დიდი ხანია დგას ბიოლოგიის წინაშე, ეს არის ცილის ბიოსინთეზი. როგორ ხდება ცილის მოლეკულის შენება და „ვინ" განაგებს ამ პროცესს? — ეს პრობლემა ახლა ძირითადად უკვე გადაწყვეტილია. და შორს არ არის ის დრო, როცა ადამიანი — ბუნების ეს სასწაული, თავისი ინტელექტის წყალობით, იზეიმებს ახალ გამარჯვებას. დათრგუნის ყველა მომაკვდინებელ დაავადებას, შეძლებს დიდხანს შეინარჩუნოს ახალგაზრდობა, გაიხანგრძლიოს სიცოცხლე, სულ იოლად მიიღოს საკვები ნივთიერებანი, არ დაელოდოს ბუნების წყალობას, არ იყოს მის „კაპრიზებზე" დამოკიდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იურიდიული კონსულტაცია

კ ი თ ხ ვ ა: ქორწინებაში ყოფნის დროს მიღებული დამბლის გამო პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ. არა მყავს შვილი. მეუღლემ მიმატოვა. მაქვს მძიმე მატერიალური პირობები. განქორწინებული არა ვართ. გთხოვთ განმიმარტოთ, მერგება თუ არა მეუღლისაგან სარჩო, რა რაოდენობით და რა დრომდე.

ს. ს.
ქ. თბილისი.

პ ა ს უ ხ ი: საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 22-23-ე მუხლების თანახმად, უფლება გაქვთ მოსთხოვოთ მეუღლეს სარჩო. უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ მეუღლეს შეუძლია დაგეხმაროთ, მას დაეკისრება თქვენი სარჩოს გადახდა ყოველთვიურად და მოჭრით, რასაც განსაზღვრავს სასამართლო.

განქორწინების შემდეგაც მიიღებთ ყოფილი მეუღლისაგან სარჩოს, მხოლოდ 3 წლის განმავლობაში.

სარჩოს მიღების უფლება მეუღლისაგან მოგესპობათ, უკეთუ დაქორწინდებით სხვა მამაკაცზე.

კ ი თ ხ ვ ა: ჩემი ოჯახის 4 წევრისათვის წარმოებიდან მივიღე ერთოთახიანი ბინა. ერთი თვის შემდეგ გავთხოვდი და საცხოვრებლად გადავედი მეუღლის 2-ოთახიან ბინაში და იქ ვცხოვრობდი ჩაუწერლად. ოჯახის სხვა წევრი არ გვყოლია. მეუღლემ თავის დროზე შეიტანა განცხადება ბინაში ჩემი ჩაწერის შესახებ, რაც სახლმმართველობამ უსაშველოდ გააჭიანურა.

ერთი წელია მეუღლემ მიმატოვა და სხვა ქალზე დაქორწინდა. ბინაში მარტო დავრჩი. ჩაწერას კი ისევ მიჭიანურებენ. გთხოვთ განმიმარტოთ, კანონიერია თუ არა სახლმმართველის მოქმედება და განქორწინების შემთხვევაში გამომასახლებენ თუ არა მეუღლის ბინიდან?

ე. წ.
ქ. ჭიათურა,

პ ა ს უ ხ ი: საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296-297-ე მუხლების თანახმად, თქვენ თქვენი მეუღლის ბინაში ფართობზე უფლება უკვე მოპოვებული გაქვთ, სახლმმართველს არა აქვს უფლება, არ ჩაგწეროთ აღნიშნულ ბინაში.

კ ი თ ხ ვ ა: ჩემი მეუღლე დაავადებულია სწორი ნაწლავისა და საშარდე მილის ფისტულით, დედამთილი კი — ფსიქონევროზის მძიმე ფორმებით.

სამთავენი ვცხოვრობთ კომუნალური ფონდის ერთ ოთახში, რომლის ფართობი 24 კვადრატული მეტრია. მისი გატიხვრა ტექნიკურად შეუძლებელია. საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის აღრიცხვაზე არ ვიმყოფებით. ჩვენი ბინის მომიჯნავედ განთავისუფლდა ოროთახიანი ბინა 16 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით. ჩვენსა და ამ ბინას შორის დატანებულია ორფრთიანი კარი, საერთო გვაქვს სათავსოები (აბაზანა, სამზარეულო და საპირფარეშო). გთხოვთ გვიპასუხოთ: მაქვს თუ არა უფლება ჩემი ოჯახის დაავადებული წევრებისათვის მოვითხოვო მომიჯნავედ განთავისუფლებული ოთახები. შემიძლია თუ არა აღმასკომის მიერ ჩემი განცხადების განხილვამდე დავიკავო აღნიშნული ბინა და სამთავე ოთახზე ბინის ქირა სამმაგად გადამხდება თუ ერთმაგად?

ლ. ქ.
თბილისი.

პ ა ს უ ხ ი: თქვენს პირობებში მყოფს, უფლება გაქვთ მოითხოვოთ მომიჯნავედ განთავისუფლებული ოთახების თქვენი ოჯახის სარგებლობაში გადმოცემა, მაგრამ ასეთის დაკანონებამდე უფლება არა გაქვთ თვითნებურად დაიკავოთ ისინი.

თქვენი მეუღლე და დედამთილი განეკუთვნებიან ავადმყოფთა იმ ჯგუფს, რომელთაც დამატებითი საცხოვრებელი ფართის და ცალკე ოთახით სარგებლობის უფლებას ანიჭებს საქართველოს სახკომსაბჭოს 1930 წლის 14 დეკემბრის დადგენილების 1 და მე-40 მუხლები.

თუ მითითებული ბინა თქვენს ოჯახს გადმოეცემა, მთელი ფართობის ქირა მხოლოდ ერთმაგად გადაგხდებათ.

კ ი თ ხ ვ ა: კერძო მფლობელობის სახლში მდგმურის უფლებით ვცხოვრობ დაბალი ხარისხის 2 ოთახში, რომელთა ფართობი 24 კვ მეტრია. სახლის პატრონი ბინის ქირად თვეში 10 მანეთს მოითხოვს, გთხოვთ მიპასუხოთ, რა რაოდენობით უნდა გადავუხადო ბინის ქირა სახლის მეპატრონეს.

ზ. ე.
თბილისი.

პ ა ს უ ხ ი: საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 299-ე მუხლისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 დეკემბრის № 726 დადგენილების თანახმად, მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებში ბინის ქირის ზღვრული ოდენობა ერთ კვ მეტრ საცხოვრებელ ფართობზე (ხარისხს მნიშვნელობა არ ეძლევა) არ აღემატება 16 კაპიკს.

მაშასადამე, თქვენ სახლის პატრონს ყოველთვე ბინის ქირად უნდა გადაუხადოთ 3 მანეთი და 84 კაპიკი.

# აუქციონზე

რვა წელი გრძელდებოდა ეს ბრძოლა. რვა წლის განმავლობაში ცნობილი ფრანგი მომღერალი ქალი ვაჟკაცურად იბრძოდა მის მიერ ნაშვილები 12 სხვადასხვა ეროვნების ბავშვთა უფლების დასაცავად. და, აი, მოვალეების დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე ჟოზეფინა ბეკერის სახლი გაიყიდა, მომღერალ ქალს არ დარჩა არაფერი.

როგორც ცნობილია, 1948 წელს, ჟოზეფინა ბეკერმა იყიდა მამული „ლე მილანი" იმ მიზნით, რათა იქ შეექმნა, როგორც თვითონ ამბობდა, „მშვიდობის პირველი სოფელი", „მსოფლიო ძმობის სკოლა". მან იშვილა მსოფლიოს ყველა რასის წარმომადგენელი ბავშვი. პირველი სიძნელეები ჯერ კიდევ 1960 წელს წარმოიშვა, როდესაც მამული პირველად იქნა აღწერილი. მომღერალი ქალისა და მისი მრავალრიცხოვანი ოჯახის დასაცავად აღსდგა საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობა. შეიქმნა სოლიდარობის კომიტეტი. კინომსახიობი ბრიჯიტ ბარდო ტელევიზიით გამოვიდა და ყველას მოუწოდა მხარი დაეჭირათ ჟოზეფინა ბეკერისათვის, შეგროვდა აუცილებელი თანხა და „ძმობის სკოლა" გადარჩა.

მაგრამ, ამ ხანად მოვალეებმა მამულის გაყიდვა მოითხოვეს. მამაცი ქალი ფარ-ხმალს არ ჰყრის, იგი მეტად დამწუხრებულია ამ ამბით, მაგრამ გული არ გატეხია. „თანხა, რომლისთვისაც აუქციონზე გაიყიდა მამული, საშინლად მცირეა. იგი მხოლოდ მისი ნამდვილი ღირებულების თხუთმეტ პროცენტს შეადგენს, — განუცხადა მომღერალმა ჟურნალისტებს. — ცოტა დრო რომ მოეცათ, მე შევძლებდი ვალის გადახდას. ისინი, ვინც ეს ჩაიდინა, უგულო ადამიანები არიან. ჩემი ოჯახი სიმბოლოა ჰუმანური იდეალებისა, რისთვისაც ვიბრძვი. მე განვაგრძობ ბრძოლას და დარწმუნებული ვარ, ჩემი ბავშვებისათვის მოვძებნი ნავსაყუდარს".

გაზეთი „სოვეტსკაია კულტურა".

*ეს საინტერესოა*

## 15 წლის პროფესორი

მომავალი შემოდგომიდან მიჩიგანის უნივერსიტეტს შეემატება აშშ ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი, 15 წლის ქალიშვილი ედიტ სტერნი.

ედიტი 2 წლის იყო, წერა-კითხვა რომ შეისწავლა, 4 წლისა — თამაშობდა ჭადრაკს, როგორც პროფესიონალი, 12 წლისამ დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 13 წლის ფლორიდის უნივერსიტეტში მათემატიკას ეუფლებოდა.

ახალი სასწავლო წლიდან კი პროფესორი ედიტ სტერნი ასწავლის ალგებრას მიჩიგანის უნივერსიტეტში.

გაზეთი „ლესნაია პრომიშლენნოსტ"

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## აღზრდის ხელოვნება

# დაბადების დღე

მარიამ ბურჭულაძე

ვაჟა მეოთხე კლასის მოსწავლეა. ის ბეჯითად სწავლობს, პასუხისმგებლობით ასრულებს მასწავლებლის დავალებებს, ზრდილობიანია, მშვენიერი ამხანაგია, ერთი სიტყვით, კარგი ბიჭია.

დღეს ვაჟას ოჯახში დიდი მზადებაა. მას ათი წელი უსრულდება და დაბადების დღეს უხდიან.

დედა და ბებია ჯერ კიდევ გუშინ შეუდგნენ ტკბილეულის ცხობას. მამა დილაადრიან წავიდა ბაზარში და დატვირთული დაბრუნდა.

ვაჟა დილით სკოლაში წასასვლელად მოემზადა, პატარა მაია კი საბავშვო ბაღში მიჰყავს ბებიას.

— დედა, დედიკო, — ჰკითხა ვაჟამ დედას, — რომელი საათისთვის დავპატიჟო დღეს ჩემი ამხანაგები?

დედა ამ დროს ნაყიდებს ალაგებდა ჩანთიდან, შეჩერდა და ვაჟას მიუბრუნდა: — რაო? შენი ამხანაგები კი არა, მე ის მაფიქრებს, როგორ დავატევ დაპატიჟებულ სტუმრებს. შენი ამხანაგებისათვის სად მექნება ადგილი? არა, ვაჟიკო, შენს ამხანაგებს სხვა დროს დავუძახოთ.

— როგორ თუ სხვა დროს, — შეეპასუხა ბავშვი, — ჩემი დაბადების დღე ხომ ერთხელ არის წელიწადში?

— რა ვქნათ, — ეუბნება დედა, — ჩვენ უკვე დავპატიჟეთ დიდები. შენი ამხანაგებისთვის ახლა ადგილი არ გვექნება.

— მე კი მეგონა, ჩემი დაბადების დღეს ჩემი მეგობრები იქნებოდნენ ჩემთან ერთად, — თქვა გულნატკენად ვაჟამ, მოწყენილი გავიდა სახლიდან და სკოლისაკენ გაემართა.

იმ დღეს ბიჭი მოუსვენრად იჯდა გაკვეთილებზე. მისთვის ჩვეული ყურადღება მოდუნებულიყო. ახალი მასალის ახსნის შემდეგ მასწავლებელმა კლასს კითხვები რომ დაუსვა, ვაჟამ სწორი პასუხი ვერ გასცა. მასწავლებლისათვის ეს უჩვეულო ამბავი იყო.

თვით ვაჟაც უკმაყოფილო დარჩა თავისი თავის, თვითონვე შერცხვა თავისი პასუხის, რა უგემურად გავიდა ვაჟასათვის ეს დღე სკოლაში!

დამთავრდა გაკვეთილები. მოსწავლეები ჟივილ-ხივილით გამოეფინენ სკოლის ეზოში და მხიარულად გაემართნენ სახლებისაკენ.

მხოლოდ ვაჟა გამოვიდა მოწყენილი. ის არ შეერთებია ბავშვების ჯგუფს, სიცილ-ხარხარით რომ მიდიოდნენ, განმარტოვდა და თავჩაღუნული გაემართა შინისაკენ.

სახლში დიდი ფუსფუსი იყო, საჭმელების სურნელება ტრიალებდა. დეიდა ნატოც მოსულიყო დასახმარებლად. შლიდნენ მაგიდებს, თეთრ, ქათქათა სუფრებს აფენდნენ, თეფშებს, ჭიქებს, დანა-ჩანგალს აწყობდნენ მაგიდებზე.

დედამ ვაჟა და მაია ლამაზად მორთო. ვაჟას ახალი ტანსაცმელი ჩააცვა და უთხრა: ეს მამამ გიყიდა საჩუქრად დაბადების დღისთვისო. ვაჟა ახალმა ტანსაცმელმაც ვერ გაამხიარულა. მისი ბავშვური, ფაქიზი თავმოყვარეობა შეურაცხყოფილი იყო. ეს მის სახეზეც ნათლად ჩანდა, მაგრამ არავის შეუმჩნევია — სახლში ბავშვებისთვის არავის ეცალა.

შვიდი საათისთვის სტუმრებმა მოსვლა დაიწყეს, ახმაურდა ოჯახი. ზოგს რა მოაქვს საჩუქარი დღეობისათვის, ზოგს—რა. ვაჟას ყურადღება მხოლოდ „კონსტრუქტორმა“ მიიპყრო, ერთმა ძიამ რომ მოუტანა. დაჯდა თავისთვის მარტო და აწყობას შეუდგა.

სტუმრები მაგიდას შემოუსხდნენ. თამადა აირჩიეს და გაჩაღდა ნადიმი. პირველი სადღეგრძელო შეკრების მიზეზისა შესვეს, ვაჟას კარგად სწავლა, კარგი ვაჟკაცობა და სახელოვანი მამულიშვილობა უსურვეს.

ვაჟასა და მაიასთვის მაგიდაზე ადგილი არ აღმოჩნდა. ბავშვები ბებიამ ცალკე ასადილა სამზარეულოში. შემდეგ კი პატარა მაგიდას მოუსხდნენ და „კონსტრუქტორის“ აწყობით ერთობოდნენ.

დრო შეუმჩნევლად გადიოდა, დიასახლისები ისე იყვნენ გართული სტუმრების მომსახურებით, რომ ვერც კი შეამჩნიეს, როგორ საცოდავად ჩამოსძინებოდა პატარა მაიას. ბებიამ მძინარე გოგონა საწოლში წაიყვანა, საიდანაც დიდხანს ისმოდა გაჭირვეულებული ბავშვის ტირილი.

მაგიდაზე სადღეგრძელოები გრძელდებოდა, ხმაური მატულობდა. ვაჟა, ამ შეკრების მთავარი გმირი, აღარავის მოჰგონებია. ის ტანსაცმელშივე მიწოლილიყო საწოლზე და უგემურად მისძინებოდა.

ეს მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს დიასახლისებმა, როცა შეზარხოშებული სტუმრები წამოიშალნენ და სახლებში წასვლა დააპირეს.

მეორე დღეს ბიჭი გაკვეთილებმოუმზადებელი და საშინლად მოთენთილი წავიდა სკოლაში.

ასე ჩატარდა ვაჟას დაბადების დღე.

განა ეს მოსაწონია?

განა შეიძლება ამას ბავშვის დღესასწაული ეწოდოს?

რასაკვირველია, არა! რა სიამოვნება მიიღო პატარა ვაჟამ თავის დაბადების დღეს?

უფროსები შეიკრიბნენ, ივახშმეს, დრო ატარეს, დათვრნენ და დაიშალნენ. ვაჟასათვის კი ადგილიც არ აღმოჩნდა მაგიდასთან. მის მეგობრებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!

ვაჟას დაბადების დღე, ალბათ, საბაბი იყო უფროსების დროსტარებისათვის, იმაზე კი არავის უფიქრია, თუ რა დიდი სულიერი ტრავმა მიაყენეს ბავშვის სათუთ ბუნებას.

დაბადების დღის აღნიშვნა ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა ბავშვის ცხოვრებაში.

ეს დღე ნამდვილად უნდა გამოირჩეოდეს სხვა დღეებისაგან. ამ დღემ სასიამოვნო გამოცოცხლება, ბუნებრივი მხიარულება უნდა შეიტანოს ოჯახში. უნდა შეიკრიბონ ბავშვის თანატოლები, ამხანაგები. უფროსების ვალია გონივრულად წარმართონ ბავშვების თამაშობანი, მოაწყონ გონებამახვილური გასართობები, ვიქტორინები, ლექსების კითხვა, ცეკვები, სიმღერები.

ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ ასეთ დღეებში თვით ბავშვები იყვნენ დღესასწაულის წარმმართველნი, უნდა გამოვიყენოთ მათი ინიციატივა, მოფიქრებულობა, მოსაზრებულობა.

ამ ოჯახურ ლამაზ დღესასწაულს ეკარგება ყოველგვარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა,როცა უპირველეს საქმედ სმა-ჭამაა მიჩნეული.

რასაკვირველია, საჭიროა გამასპინძლებაც — ბუტერბროდები, ტკბილეული, ხილი, ლიმონათი. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარი — ბავშვთა შეკრებაა და საჭიროა ამ შეკრების გონივრული წარმართვა. ცნობილია, რომ ასეთი მეგობრული შეხვედრები უდიდეს გავლენას ახდენს ბავშვთა აღზრდაზე, უნერგავს მათ მეგობრობის, ერთმანეთის სიყვარულის, პატივისცემის, გამტანიანობის, ჭირსა და ლხინში თანაზიარობის გრძნობას.

პედაგოგიურმა პრაქტიკამ მრავალგზის დაადასტურა ასეთი შეხვედრების დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა

ისმება კითხვა — არის თუ არა საჭირო საჩუქარი დაბადების დღეს?

საჩუქრებსაც აქვს თავისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

საჩუქარი — სიყვარულს, პატივისცემას, ყურადღებას გამოხატავს.

ეს ნიშნავს, რომ მედღეობეს აფასებენ, მასზე ზრუნავენ. მაგრამ საჩუქარი საფასურით არ უნდა იზომებოდეს!

უფროსებს სურთ საჩუქრით ასიამოვნონ ბავშვებს, გაახარონ ისინი — ეს წახალისების ერთ-ერთი საშუალებათაგანია, მაგრამ ამავე დროს უფროსები იმასაც უნდა დაუფიქრდნენ, თუ როგორი უნდა იყოს საჩუქარი, რომ ის ბავშვის ასაკს, გემოვნებას შეეფერებოდეს და ამავე დროს აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჰქონდეს.

სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში, სასურველია, ვაჩუქოთ ბავშვს ისეთი სათამაშო, რომელიც უვითარებს მოსაზრებულობას, გონივრულობას (პირამიდა, სამშენებლო მასალა „კუბიკები“, გოგონებს — ლამაზი თოჯინა და სხვა).

10-11 წლის ბავშვს დიდ სიხარულს ჰგვრის საინტერესო და ლამაზად დასურათებული საბავშვო წიგნი, მაგიდის სათამაშოები, სპორტული ნივთები. ბავშვს, რომელსაც ხატვა უყვარს, ძლიერ ახარებს ფერადი საღებავები, ფუნჯი, პლანშეტი, ხოლო ტექნიკური შემოქმედებით გატაცებულ ბავშვს ძლიერ უყვარს ხელსაწყო-ინსტრუმენტების ნაკრები, „კონსტრუქტორი“ და სხვა.

არ არის მიზანშეწონილი ბავშვს დაბადების დღეზე ვაჩუქოთ ისეთი ნივთები, რომლებიც მშობლებმა დღეობის გარეშეც უნდა იყიდონ, მაგალითად, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი. დაე, საჩუქარი უბრალო იყოს — ალბომი, რაიმე ქანდაკება, სურათი, მხოლოდ ბავშვმა იგრძნოს მისადმი ყურადღება, სიყვარული, დაფასება. ამაშია საჩუქრის აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ყოვლად მიუღებელია ზოგი მშობლის საქციელი, როცა ბავშვის თანდასწრებით განიხილავს საჩუქარს საფასურის მიხედვით. ყოველმა მშობელმა უნდა ჩაუნერგოს ბავშვს, რომ საჩუქარი საფასურით არ იზომება, რომ გულწრფელად მიძღვნილი თვითნაკეთი სათამაშო, ერთი ლამაზი სურათი, თუნდაც ერთი ყვავილი დიდი სიყვარულის, პატივისცემის და დაფასების მაჩვენებელია. ხომ მართალია — „კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების“.

შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა რესპუბლიკის ბევრ საბავშვო სახლში, სადაც უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები იზრდებიან.

აქ დაბადების მოწმობების მიხედვით (რაც ბავშვთა პირად საქმეში ინახება) აღმზრდელი დაადგენს ბავშვების დაბადების დღეს. ხდება ისეც, რომ ერთსადაიმავე დღეს, მხოლოდ სხვადასხვა წელში, დაბადებული აღმოჩნდება რამდენიმე ბავშვი, ორი ან სამი. და, აი, მათ ერთად უხდიან დაბადების დღეს. ამ დღისათვის მთელი კოლექტივი ემზადება.

ამ დღეს ბავშვები შეიკრიბებიან ლამაზად გაფორმებულ დარბაზში, განსაკუთრებულად მორთულ იუბილარს ან იუბილარებს შუაში მოათავსებენ. აღმზრდელი აღნიშნავს, რომ დღეს ამ ბავშვების დაბადების დღეა და საბავშვო სახლი ზეიმით აღნიშნავს ამ თარიღს. შემდეგ გულთბილად ულოცავენ ბავშვებიც: ზოგს მინდვრის ყვავილების თაიგული მოაქვს საჩუქრად, ზოგს — მის მიერ გაკეთებული სათამაშო, ზოგს თოჯინა, ზოგს ბურთი. იმართება კონცერტი, ლექსების კითხვა, ცეკვა-თამაში, სიმღერები... ყველაფერი ეს საზეიმო ელფერს აძლევს ამ დღეს.

შემდეგ შედიან სასადილო ოთახში. იქ „იუბილარებს“ განსაკუთრებულ ადგილზე დასვამენ, ყველა მათ სიამოვნებას, მათ გახარებას ცდილობს. იმ დღეს ჩვეულებრივ სადილს ემატება სპეციალურად მომზადებული ტკბილი ნამცხვარი. მთელი დღის განმავლობაში ეს ბავშვები ყურადღების ცენტრში არიან. საერთო სიხარული სუფევს საბავშვო სახლში.

ამგვარად უხდიან უდედმამო ბავშვებს დაბადების დღეს, რომელშიც უდიდესი სიყვარული, მშობლიური სითბო და დიდი მზრუნველობაა ჩაქსოვილი. განა ამგვარი ღონისძიება რაიმე კომენტარს საჭიროებს?

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარად გადახდილ დაბადების დღეს უფრო მეტი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვენს მიერ ამ საუბრის დასაწყისში მოთხრობილ ვაჟას დაბადების დღეს, სადაც, თუმცა, მაგიდა პროდუქტთა სიუხვით იზნიქებოდა, მაგრამ ის მხოლოდ უფროსების დროსსატარებლად იყო განკუთვნილი. და განა გასაკვირია, რომ იმ დღემ ვაჟას ბავშვურ ფაქიზ გულს სიამოვნებისა და სიხარულის ნაცვლად მხოლოდ ტკივილი მიაყენა?

### არქიტექტორის საუბარი

# მოდით, ვიფიქროთ!

ალბათ, ყველასათვის შესამჩნევია, რომ უკანასკნელ პერიოდში სულ მეტი და მეტი ყურადღება ექცევა ჩვენი ქალაქის მხატვრულ სახეს. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან იგი უპასუხებს არა მარტო ადამიანის მუდმივ მისწრაფებას სილამაზისადმი, არამედ აქვს უდიდესი სოციალური მნიშვნელობაც. არქიტექტურის ესთეტიკური ზეგავლენა განუსაზღვრელია. იგი თანა სდევს ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე და აყალიბებს მის გემოვნებას, იდეოლოგიას. ლამაზი ქალაქი იზიდავს ადამიანს, ანიჭებს მას სიამაყისა და პატრიოტიზმის გრძნობებს, ისევე, როგორც ლამაზი ბინა ქმნის სითბოს, მყუდროებას, ცხოვრების სიხარულს, ამაღლებს შრომისუნარიანობას და სიცოცხლის ხალისს. ჯერ კიდევ ახლო წარსულში ქალაქის მხატვრული გაფორმების საკითხები რამდენადმე უგულვებელყოფილი იყო. ამჟამად ქალაქის ამ მნიშვნელოვან მხარესაც მიექცა ყურადღება. ამის საუკეთესო მაგალითია თუნდაც რუსთაველის პროსპექტი, რომლის გაფორმება დაექვემდებარა ერთიან მხატვრულ ჩანაფიქრს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი ისეთი უბანი, რომელიც არღვევს ჩვენი ქალაქისა და ყოფის მთლიანობას და მხატვრულ დონეს. ამასთანავე არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ მომავალი თაობები ჩვენი ქალაქების, შენობების, მხატვრული ნაწარმოებებისა და ყოფის მიხედვით ჩვენს მსგავსად იმსჯელებენ მათი შემქმნელი საზოგადოების ხასიათსა და კულტურულ დონეზე.

სწორედ ამან გამაბედინა წამომეწყო საუბარი ფრიად არასასიამოვნო და, ეთიკის თვალსაზრისით, მეტად საჩოთირო თემაზე, საკითხზე, რომელსაც, შეიძლება, არ მოაქვს პირდაპირი ზიანი სახელმწიფოსათვის, მაგრამ ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების ჯანსაღ განვითარებას, საზოგადოებისას, სადაც ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული

---

საკითხის დასმის წესით.

ყოველივეს და ყველას ინტერესები.

ჩვენი საუბრის თემაა თბილისის სასაფლაო, რომელიც ჩემი აზრით, თავისი სახითა და იერით სრულიად უნიკალური, შესაძლებელია ერთადერთია მთელ მსოფლიოში.

მიცვალებულების დამარხვის წესს უძველესი ტრადიცია აქვს.

როგორც ცნობილია, ძველ აღმოსავლეთში დამარხვის რიტუალი დაკავშირებული იყო წარმოდგენებთან საიქიო ცხოვრებაზე: სამარხი კეთდებოდა საცხოვრებელი სახლის მსგავსად ხანგრძლივი, მარადიული საიქიო ცხოვრებისათვის. აქედან აღმოცენდა საზეიმო და რთული აკლდამები, პირამიდები, რომელთაც ამასთანავე ახასიათებდა მკვეთრი ქონებრივი და იერარქიული უთანასწორობა. ანტიკურ პერიოდში აკლდამები იგებოდა გაცილებით თავშეკავებულად, ქრისტიანული რელიგიის განვითარებასთან ერთად კი სამარხი სრულიად გამარტივდა.

ჩვენთვის კარგადაა ცნობილი საქართველოში გავრცელებული სამარხების ყველა ტიპი, უძველესი პერიოდიდან ჩვენს დრომდე: ყორღანული სამარხები, ორმოსამარხები, ანტიკური პერიოდის ქვაყუთები, კრამიტყუთები, ქვევრსამარხები, დიდებულთა და სამეფო გვარის წევრთათვის განკუთვნილი სადა და მკაცრი აკლდამები და სარკოფაგები. ფეოდალიზმის ეპოქაში ჩვეულებრივად კმაყოფილდებოდნენ უბრალო ქვის ფილით, ამასთანავე ეს ფილა ერთნაირად აღნიშნავდა მეფისა და მწყემსის საფლავს. მოვიგონოთ თუნდაც ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის ან საქართველოს სხვა მმართველთა თუ გამოჩენილ მოღვაწეთა საფლავები. ამასთანავე ეს სადა, ჰორიზონტული ფილა, თავის სიმკაცრითა და ლაკონურობით სრულად უპასუხებდა ჩანაფიქრს, ქმნიდა სათანადო განწყობილებას, იწვევდა ფიქრებს და სევდას. ყოველივე ამის შემდეგ, გაუგებარია საიდან და რატომ, რომელი ტრადიციის ძალით იფეთქა აღვირახსნილმა ფანტაზიამ, მისწრაფებამ გადააჭარბონ ერთი მეორეს. იგება პავილიონები და მავზოლეუმები, იქმნება მოვერცხლილი და მოოქროვებული მოაჯირები, უხეში, მდარე გემოვნების ჩუქურთმები. უკანასკნელ პერიოდში ამას დაემატა აკლდამები, რომლებიც ბაძავენ არქიტექტურულ ინტერიერებს, ქართულ დარბაზებს, კერითა და ბუხრით, მარმარილოსა და ბრინჯაოს ბიუსტები და ქანდაკებები. ფეხი მოიკიდა ახალმა დარგმაც — ჰედურმა ფილებმა. ფილებზე იკვეთება ყველასათვის უცნობ პირთა ფაქსიმილე და მრავალი სხვა, რასაც ერთბაშად ვერ გაიხსენებ. სადღაა ჩვენთვის ჩვეული ტრადიციული მოკრძალება და ტაქტი. ნუთუ ჩვენს თანამემამულეებს, თბილისელებს მართებულად მიაჩნიათ აუგონ ძეგლი თუნდაც მათთვის ძვირფას და ახლობელ, მაგრამ საზოგადოებისათვის ყოვლად უცნობ ადამიანს, ძეგლი გაცილებით ძვირფასი და პომპეზური, ვიდრე საფლავის ძეგლები ვაჟა-ფშაველასი, ალ. ყაზბეგისა თუ აკაკი წერეთლისა.

მე მქონდა შემთხვევა მენახა ულამაზესი სასაფლაოები ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პარიზის ცნობილი პერ-ლაშეზი და მონმარტრის სასაფლაო, ლონდონის ჰაიგეტი. ყველგან ეს არის მწვანე, დაბურული პარკები, სადაც საუკუნოვან ხეების ჩრდილში იპოვეს მყუდრო ბინა მიცვალებულებმა. საფლავი აღინიშნება მწვანე ბორცვით, ჯვრებით ან უბრალო ფირფიტით მიცვალებულის სახელის აღნიშვნით. მათ ერთადერთ მორთულობას შეადგენს ვარდისა ან იასამნის ბუჩქი. ასეთ სასაფლაოზე მისვლის სურვილიც კი გებადება. ისინი თითქოს კიდევაც ამშვიდებენ ადამიანს. მოიგონეთ თუნდაც გი დე მოპასანის მშვენიერი მოთხრობა „მოტირალი“. აქ ავტორი აგვიწერს პარიზის სასაფლაოს, სადაც იგი ხშირად დადის თავისი ძველი მეგობრების სანახავად და მათთან სასაუბროდ. აქ არ არის მჯვირალა მეშჩანობა, მოსაჩვენარი სიმდიდრე, პირიქით, არის თანასწორობა ყველასი ბუნების მკაცრი კანონის წინაშე. „მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი“...

ჩემთვის ძნელია ამ თემაზე საუბარი, მერიდება, არ ვაწყენინო ადამიანებს, რომლებიც მთელი გულითა და გრძნობით ცდილობენ გამოავლინონ თავისი ახლობელის სიყვარული, უძღვნან მას უკანასკნელი საჩუქარი და, შეიძლება, ამით რამდენადმე აადვილებენ კიდევაც თვით მწუხარებას. მაგრამ ჩვენ ყველანი ვალდებული ვართ, მიუხედავად ყოველივესი, ერთად ვიბრძოლოთ ცუდი გემოვნების გამოვლინების, ვაჭრული გაქანების რეციდივების წინააღმდეგ. ცხადია, ხალხს, საზოგადოებას შეუძლია აღნიშნოს თავისი გამოჩენილი მოღვაწეები, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება ძეგლის აგებისა იმისდა მიხედვით, გააჩნია თუ არა მას სათანადო სახსრები.

ვილაპარაკოთ გულახდილად, ჩვენთვის დამახასიათებელი თვისება — არ ჩამორჩე სხვას, ხშირად აიძულებს ადამიანებს, რომელთაც არ გააჩნიათ სათანადო სახსრები, აჯვენ სხვებს და საფლავზე ააგონ ძეგლები, რომლებიც აშკარად აღემატება მათ ძალას. ზოგიერთები ამის გამო ზღუდავენ თავს და, რაც მთავარია, აკლებენ თავის შვილებს ცხოვრებისა და აღზრდისათვის საჭირო სახსრებს, რომელთაც გადასცემენ სასაფლაოებზე მოსაქმე ზოგიერთ უსინდისო ადამიანს, სხვის მწუხარებასა და გლოვაზე გამდიდრებულს. განა ყოველივე ეს არ არის საჩვენებელი? განა ნამდვილი დარდი, წრფელი მწუხარება გარეგანი ნიშნებით განიზომება? იგი მუდამ შინაგანია, ფარული, გულჩათხრობილი.

ვფიქრობ , ქალაქის საბჭომ უნდა მიაქციოს ყურადღება სასაფლაოს, აკრძალოს უხეში და მდარე გემოვნების ნაგებობათა აგება. ალბათ, დადგება დრო, როდესაც ვინანებთ, რომ მეტად გულუხვად ვარიგებდით სასაფლაოზე მოზრდილ ნაკვეთებს, ჩვენი ქალაქის ძვირფას ტერიტორიას, ეს იმ დროს, როდესაც თუნდაც საფრანგეთში მიწის ეკონომიის მიზნით, დიდი ხანია მიღებულია იარუსული დასაფლავების წესი. საჭიროა ამ საკითხებზე დაფიქრება. გვჯერა, მომავალში ყველა მადლიერი იქნება ამ წამოწყებისა. განა მართებული არ არის, რომ გვირგვინების აკრძალვის შედეგად ყვავილები ემსახურება ცოცხალ ადამიანთა სიხარულს?

პროფესორი **ირაკლი ციციშვილი**

---

 გარეკანზე — ანსამბლ „რეროს“ მოცეკვავე ქალთა ჯგუფი. ფერადი ფოტო ნორა ანთიძისა.


| | | |
|---|---|---|
| რედაქტორი მარიკა **ბარათაშვილი** | სარედ. კოლეგია: **ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.** ტექრედაქტორი **ქ. დემუროვა.** | **საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა** |

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. №№ 99-50-39, 99-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5, 3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/VII. 68 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 100.000. შეკვ. № 2461. უე 02370. **ფასი 80 კაპ.**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

**ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.**

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.



10 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76178

